ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები “

თამარ თურმანიშვილი

ოჯახური აღზრდის მოდელები ქართულ ხალხურ ზღაპრებში

(დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი,
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შესულ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევას. საზოგადოდ ცნობილია რამხელა მნიშვნელობა ენიჭება ზღაპარს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში. მას აქვს მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი ფუნქცია, რაც აღიარებულია მსოფლიოს წამყვანი პედაგოგებისა და განათლების სპეციალისტების მიერ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს ბავშვის აღმზრდელობით პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახური აღზრდა განაპირობებს მომავალში ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებს, შესაბამისად, ბევრია დამოდებული იმაზე თუ როგორი და რა აღმზრდელობითი მეთოდები, ტრადიციები გამოიყენება ოჯახურ სივრცეში ბავშვის მიმართ.

მაშასადამე, ვაცნობიერებთ რა ზღაპრისა და ოჯახის როლს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ზღაპარში გადმოცემული ოჯახური აღზრდის მოდელები არანაკლებ გავლენას იქონიებს მის აღმზრდელობით პროცესზე, მითუმეტეს თუ გავითვალისწონებთ იმ გარემოებასაც, რომ ეს ზღაპრები სავალდებულო სასწავლო მასალაა სკოლებში. ამდენად, დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შესულ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევა მეტად აქტუალური საკითხს წარმოედგენს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვიხილეთ კვლევები ფოლკლორსა და პედაგოგიკის მეცნიერებას შორის არსებულ კავშირებზე, შევისწავლეთ ზღაპრის სპეციპიკა და აღმზრდელობითი ღირებულება, ოჯახის მნიშვნელობა, ტიპოლოგია და ფუნქციები. მოვიძიეთ შრომები და გამოვარკვიეთ, რომ აღნიშნული საკითხი ჯერ არავის უკვლევია, შესაბამისად, ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევა, საწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილ ქართულ, ხალხურ ზღაპრებში ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს.**

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ **ჰიპოტეზა**:

- დაწყებით საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანლ ქართულ, ხალხურ ზღაპრებში, შეიძლება იყოს გადმოცემული ქართული, ოჯახური აღზრის ტრადიციები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნება ქართული, ოჯახური აღზრდის მოდელების გამოვლენა.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში სასწავლო მასალად შეტანილ, ქართულ ხალხური ზღაპრების კვლევა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები.
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა.
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება.
- თვისებრივი კვლევის ჩატარება.
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის **საგანია** დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში სასწავლო მასალად შეტანილ, ქართლ ხალხურ ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელების გამოვლენა. ხოლო **ობიექტი** - დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში სასწავლო მასალად შეტანილი, ქართლი ხალხური ზღაპრები.

Family upbringing model in the Georgian fairy

Tamar Turmanishvili

Annotation

The work discusses family upbringing in the Georgian fairy tales which are given in the books of the Georgian language and literature of primary education. It is generally known that fairy tales play an important role in a child's development. It has an essential didactic function, which is accepted by worldwide education experts

Family plays a crucial role in the process of upbringing. It can be said that parenting style determines a person“s future characteristics, therefore many things depend on the parenting methods and traditions of the family.

Having realised, the role of fairy tales and family upbringing in the development of a child, we can conclude that parenting styles given in the fairy tales have an impact on upbringing. In addition, these fairy tales are obligatory parts of syllabus in schools. Therefore, studying the Georgian fairy tales, which are given in the books of the Georgian language and literature of primary education, is an actual topic.

In relation to this topic, we reviewed research about the connections between folklore and pedagogy, studied the specifications of fairy tales, its parenting value, the importance of family, typology, and functions. We found out that a given issue has not been studied before. Therefore, research about family upbringing in the Georgian fairy tales, which are given in the books of the Georgian language and literature of primary education is a novelty.

Due to previous research, we formed a hypothesis: Georgian fairy tales, which are given in the books of the Georgian language literature of primary education may present Georgian traditions of parenting, which will make possible to reveal parenting styles.

The purpose of this work is studying family upbringing in the Georgian fairy tales, which are given in the books of the Georgian language and literature of primary education. Due to this, we set the following tasks;

- Existing research.
- Defining research methodology and instrument;
- Conducting quailitativ research

- Preparing Conclusions and Recommendations;

The subject of the study is revealing family upbringing in the Georgian fairy tales, which are given in the books of the Georgian language and literature of primary education. Whereas, the object of the study is – Georgian fairy tales given in the books of the Georgian language and literature of primary education.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. საკითხის განსაზღვრა. ოჯახური აღზრდის მოდელები ზღაპრებში და მათი მნიშვნელობა ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში 10

თავი II. კავშირის განსაზღვრა ხალხურ ზეპირსტყვიერებასა და პედაგოგიკის მეცნიერებას შორის 14

2.1 ხალხური პედაგოგიური აზრის მნიშვნელობისთვის 17

2.2 ხალხური პედაგოგიკის საფუძვლები 20

2.3 დიდაქტიკური პრინციპები ქართულ ფოლკლორში 22

2.4 ცოდნა-გამოცდილების გადაცემის მეთოდები ქართულ ფოლკლორში 27

თავი III. ზღაპრები 29

3.1 ვ. პროპის თეორია 30

3.2 პედაგოგიური მოტივები ზღაპრებში 32

3.2.1 ან. ხინთიბიძის თეორია 32

3.3.2 ლ.ფ. კრიდის თეორია 34

3.2.3 ჯ.რ.რ. ტოლკინის თეორია 36

თავი IV. ოჯახის არსის განსაზღვრებისთვის 39

4.1 ოჯახის ფუნქციები 39

4.2 ოჯახის პარამეტრები და ტიპები 41

4.2.1 პარამეტერბი 41

4.2.2 ოჯახის ტიპები 42

კვლევითი ნაწილი 46

დასკვნები 75

რეკომენდაციები 77

გამოყენებული ლიტერატურა 78

დანართი 1

დანართი 2

შესავალი

ზღაპრებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის აღმზრდელობით პროცესში. ზღაპრის პედაგოგიური ღირებულების კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, როგორც ქართულ ისე საზღვარგარეთულ სამეცნიერო სივრცეში. ყველა მკვლევარი კი ერთ დასკვნამდე მივიდა; ზღაპარი წარმოადგენს უნიკალურ აღმზრდელობით საშუალებას და იგი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ბავშვის პიროვნების ფორმრების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის.

თანამედროვე, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გაზიარებულია აზრი, ზღაპრის აღმზრდელობითი ღირებულების შესახებ, ამას მოწმობს დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, სხვადასხვა ლიტერატურასთან ერთად, ქართული ხალხური ზღაპრების შეტანა. რა თქმა უნდა, თითოეული ნაწარმოები შემთხვევით არაა შერჩეული და მოსწავლეში გარვეული უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ემსახურება. მაგალითად; ზოგი გვასწავლის მეგობრობას, შრომისმოყვარეობას, ერთგულებას, ზოგიც კი სამართლიანობას და ა.შ.

ზღაპარი, ეროვნული, კულტურული ტრადიციების ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველია. იგი ასახავს ეპოქის პროგრესულ იდეებს.(ქართული ხალხური ქრესტომათია,1956). ზღაპარში ასახულია წინაპართა საუკუნეების მანძილზე გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა, და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მას ახასიათებს მაღალი პედაგოგიური ღირებულებაც, სავსებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ შეიცავდეს ქართული, ოჯახური აღზრდის ამსახველ ტრადიციებსაც, მითუმეტეს, რომ ოჯახის კულტი საქართველოში ყოველთვის დიდ სიწმინდეს წარმოადგენდა. წარმოდგენილი კვლევის საკითხიც სწორდ, ზემოთხსენებული გარემოებებით არის ნაკარნახები.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილ, ქართულ ხალხურ ზღაპრებში, ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევას.

საზოგადოდ ცნობილია, თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში. ოჯახი, ეს არის აუცილებელი გარემო, სადაც

მიმდინარეობს მომავალი თაობის ჩამოყალიბება, და თუ როგორი იქნება აქ აღზრდილი ადამიანი თავისი პიროვნული თვისებებით, დამოკიდებულია კონკრეტული ოჯახის იმ აღმზრდელობით ტრადიციებსა და მეთოდებზე, რომლებსა ის ემყარება. მაშასადამე, ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევა, ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოებში შეტანილი, ქართულ, ხალხურ ზღაპრებში აქტუალურია, როგორც პედაგოგიურ-მეცნიერული, ისე სოციალურ-კულტურული თვალსაზრისითაც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვიხილეთ კვლევები ფოლკლორსა და პედაგოგიკის მეცნიერებას შორის არსებულ კავშირებზე, შევისწავლეთ ზღაპრის სპეციპიკა და აღმზრდელობითი ღირებულება, ოჯახის მნიშვნელობა, ტიპოლოგია და ფუნქციები. მოვიძიეთ შრომები და გამოვარკვიეთ, რომ აღნიშნული საკითხი ჯერ არავის უკვლევია, შესაბამისად, ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევა, საწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილ ქართულ, ხალხურ ზღაპრებში ორიგინალურია და წარმოადგენს სიახლეს.

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ ჰიპოტეზა:

- დაწყებით საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანლ ქართულ ხალხურ ზღაპრებში, შეიძლება იყოს გადმოცემული ქართული, ოჯახური აღზრის ტრადიციები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნება ქართული, ოჯახური აღზრდის მოდელების გამოვლენა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში სასწავლო მასალად შეტანილ, ქართულ ხალხური ზღაპრების კვლევა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები.
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა.
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება.
- თვისებრივი კვლევის ჩატარება.
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის საგანია დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში სასწავლო მასალად შეტანილ, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელების გამოვლენა. ხოლო ობიექტი - დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში სასწავლო მასალად შეტანილი, ქართლი ხალხური ზღაპრები.

თავი I. საკითხის განსაზღვრა. ოჯახური აღზრდის მოდელები ზღაპრებში და მათი მნიშვნელობა ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში

ოჯახურ აღზრდის მოდელში ქართულ ხალხურ ზღაპარში, ჩვენ ვგულისხმობთ ზღაპარში გადმოცემულ ოჯახურ ურთიერთობებში ასახულ ძველ ქართულ ხალხურ აღზრდის ტრადიციებს, ამავე ოჯახის პარამეტრულ მახასიათებლებს და თავად ზღაპრის პედაგოგიურ ღირებულებას.

იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია და აქტუალური კვლევის საკითხი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონკრეტულად განვსაზღვროთ როგორც ზღაპრის, ისე ოჯახის როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში.

რა მნიშვნელობა აქვს ზღაპარს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში? - ზღაპარი ბავშვის ცხოვრებაში ჩნდება ადრეული ასაკიდან. ზღაპრის დახმარებით ის ეცნობა სამყაროს, უფროსი თაობის ცოდნასა და გამოდილებას. ზღაპრის ჯადოსნური ისტორიების წყალობით, ბავშვს უვითარდება ფანტაზია და შემოქმედებითი უნარები, რაც საბოლოო ჯამში მდიდარ შინაგან სამყაროს უქმნის. XX საუკუნის ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ერიკ ბერნმა კვლევების საფუძველზე დაამტკიცა, რომ ზღაპრების საშუალებით შესაძლებელია ბავშვის მომავლის განსაზღვრა და პროგრამირებაც კი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, თუ რამხელა გავლენის მოხდენა შეუძლია მას ადამიანის პიროვნების ფორმირების პროცესზე. (E. L. Berne, 1964)

ხალხური პედაგოგიური აზრის ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველია ზღაპარი. ძველი ხალხური ზღაპრები ყველაზე უკეთ წარმოგვიჩენენ ჩვენი ერის აღმზრდელობით ტრადიციებს, კულტურას, რწმენა-წარმოდგენებს. ზღაპრის პედაგოგიური ღირებულება აღიარებულია მსოფლიოს სხვადასხვა პედაგოგებისა და მოაზროვნეთა მიერ, მათ შორის ქართველებისაც. ზღაპარი, ასევე საუკეთესო საშუალებაა ბავშვებთან ურთიერთობის, ახლო ყოფნის, მათი ნდობის მოპოვების,

სიყვარულისა და სითბოს გამოხატვის, ოჯახური ურთიერთობების განმტკიების, რომლის აუცილებლობას არაერთი კვლევა ხადყოფს.

კ. უშინსკი დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა ზღაპრებს ბავშვის აღზრდის პოცესში, ის მათ საუკეთესო სასწავლო მასალად მიიჩნევდა.

„ხალხურ ზღაპარს მე გადაჭრით და განუზომლად უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე ყველა მოთხრობას. რომლებიც ჩვენი განათლებული ლიტერატორების მიერ საგანმანათლებლოდ ბავშვებისთვის არის დაწერილი“. [К.Д.Ушинский, 1988, I, გვ. 235]

მაშასადამე, ზღაპარი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში, ვინაიდან მას ახასიათებს მაღალი პეაგოგიური ღრებულება, მატარებელია ხალხთა კულტურულ-იდეოლოგიური ტრადიციების, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიურ და მენტალურ, სოციალური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

ხალხური ზღაპრის, როგორც ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებისთვის, ოჯახური ურთიერთობების ამსახველი ამბები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, რაც გასაკვირი არცაა, რადგან ოჯახი ნებისმიერი ერის ცნობიერებაში ყველაზე უფრო პრიორიტეტული საკითხი იყო და იქნება. ოჯახის კულტი არც ქართულ კულტურაში იყო უცხო, შესაბამისად, ოჯახურ აღზრდასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ჯერ კიდევ 20-ე საუკუნის დამდეგს ცნობილი ქართველი პედაგოგი გ. იოსელიანი წერდა:

„თითოეულმა კარგად იცის თავისი საკუთარი ცხოვრებიდან და სიყმაწვილის მოგონებიდან, რომ ყველაფერი, რაც კი პატარაობოსას ჩაბეჭდილა და ჩანერგილა ჩვენს ნერვებში და ფონებაში, აღარ ქრება, სიკვდილამდის თან გადგვდევს და ხშირად დიდი გავლენა აქვს ჩვენს მოქმედებაზე, მისი უმთავრესი მიზეზი, ერთი მხრივ, ის არის რომ ყმაწვილის ჩვილი გული და სული წმინდა ნიადაგს წარმოადგენს, რომელზედაც ყველაფერი ნახული, თუ გაგონილი ისე ღრმად იბეჭდება, რომ სრულებით ამოშლა და გაქრობა შეუძლებელია; მეორე მხრით, რადგანაც დედმამისთანა საყვარელი სხვა არავინ არის ბავშვისთვის, ამიტომ ყველაფერს მათგან ნათქვამსა და ნაჩვენებს დიდი სიხარულით ითვისებს და იმარხავს გულში. ამას გარდა პატარები, რადგანაც მათი ჭკუა-გონება ძლიერ სუსტია და ავსა და კარგს ვერ არჩევენ, მხოლოდ მიბაძვით

ცხოვრობენ და, რასაც ოჯახში დაინახავენ, იმას ითვისებენ და დილობენ თვითონაც გაიმეორონ ანუ განაახლონ“... [ნ. კაპანაძე, 1986, გვ. 6]

გ. იოსელიანის სიტყვებიდან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება; ადამიანის პიროვნულ თვისებებს მეტწილად განაპირობებს ის, თუ როგორ ხდებოდა მისი აღზრდა ადრეულ ასაკში. ცნობილი პედაგოგი ხაზს უსვამს ოჯახის მნიშვნელობას ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში და დედისა და მამის როლზე ამახვილებს ყურადღებას. მას ისინი ძირითად მისაბაძ პირებად გამოჰყავს, რომელთა ქცევას, სიტყვას, დამოკიდებულებას ბავშვის მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ გ. იოსელიანი გვესაუბრება სწორედაც, რომ ოჯახური აღზრდის მნიშნელობასა და პრიორიტეტულობაზე.

პედიატრიისა და ბავშვთა განვითარების სფეროში მოღვაწე არა ერთი სპეციალისტი თანხმდება ერთ ჭეშმარიტებამდე, რომ მშობლები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ბავშვის ფსიქოლოგიური თუ ემოციური სახის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკელი ფსიქოლოგისა და ფსიქიატრიის სფეროში დოქტორის სტენლი გრინსპანის შრომები (S. Greenspan, 1989), მშობლისა და ოჯახის მიშვნელობაზე საუბრობს ბერი ბრაზელტონი თავის კვლევებში, მისი აზრით, ოჯახური ურთიერთობები და მშობლების აღმზრდელობითი დამოკიდებულება შვილების მიმართ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარების დონეს. (T.B. Brazelton, 1969)

ოჯახური აღზრდის მნიშვნელობაზე გვესაუბრება მუდრიკიც,(А.В.Мудрик, 2016) იგი ოჯახს სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს, არა მარტო ერთეული ინდივიდებისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოებისთვის, რითაც საკითხის გლობალურობას უსვამ ხაზს. მუდრიკის აზრით, ოჯახი ადამიანის სოციალიზაციის მძლავრი ინსტრუმენტია, სადაც ყალიბდება მოზარდი მომავალი თაობა, ხოლო თუ რა ხარისხის იქნება აღზრდილი ადამიანის პიროვნული თვისებები დამოკიდებულია უკვე კონკრეტული ოჯახის რიგ პარამეტრებზე.(А.В.Мудрик, 2016)

მაშასადამე, ოჯახი შეუცვლელი კომპონენტია ადამიანის პიროვნების ფორმირების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვი, შესაბამისად, გადამწყვეტი

მნიშვნელობა ენიჭება ოჯახურ აღზრდასაც, ანუ იმ აღმზრდელობითი მეთოდებისა და ტრადიციების ერთობლიობას რომელსაც იყენებს მშობელი ან სხვა ოჯახის წევრი ბავშვთან ურთიერთობისას.

ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევა ქართულ ხალხურ ზღაპრებში უნიკალურია, იმდენად რამდენადაც იგი ცდილობს ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი ზღაპარი და ოჯახი, ბავშვის აღმზრდელობითი პროცესისა ერთმანეთ შეუხამოს და ერთი კონკრეტული კუთხით იკვლიოს, საკითხს კი ერთი ორად აქტუალურს ხდის ის გარემოებაც, რომ კვლევა ორიენტირებულია დაწყებითი საფხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილ ლიტერატურულ მასალებზე.

თავი II. კავშირის განსაზღვრა ხალხურ ზეპირსტყვიერებასა და პედაგოგიკის მეცნიერებას შორის

საყოველთაოდ მიღებულია, რომ პედაგოგიკის მეცნიერება, რომელსაც პედაგოგიკის ზოგად თეორიასაც უწოდებენ, საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და ვითარდებოდა. ეს თეორია, მუდმივად ცვალებადი და განვითარებადია, ვინაიდან ვითარდება თავად ადამიანი და საზოგადოება, რომელიც ყველა მეცნიერებას და ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროს ახალ მოთხოვნებს უყენებს. მეცნიერების განვითარების ამ პოცესს ქ. ჭკუასელის განმარტებით, (ქ.ჭკუასელი, 2012) განსაზღვრავს ის კონკრეტული სფეროები ე.წ. წყაროები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ მეცნიერებაზე. ამ საკითხზე ფიქრს კი ბუნებრივად მივყავართ აღზრდის წარმოშობასთან, იმ კონკრეტულ ქმედებებთან რომლებიც ხალხურ ყოფაში ჩამოყალიბდა და რასაც ხალხურ პედაგოგიკას უწოდებენ.

ხალხური პედაგოგიკა, თავის მხრივ, წარმოადგენს ეთნოპედაგოგიკის შესწავლის საგანს. ეთნოპედაგოგიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ მთლიანობაში, როგორც ხალხური აღზრდის ისტორია და თეორია. ეთნოპედაგოგიკა, ესაა მეცნიერება მომავალი თაობის მორალურ-ეთიკურ, ესთეტიკური აღზრდის ემპირიულ გამოცდილების შესახებ, რომელიც დამყარებულია ოჯახის, გვარის, კლანის, ეროვნულობასა და ნაციონალურ ღირებულებებზე. (Г.Н. Волков, 1999)

ეთნოპედაგოგიკა ხსნის ხალხურ პედაგოგიკას და გვთავაზობს მისი პრაქტიკაში გამოყენების გზებს თანამედროვე პირობებში, იკვლევს ხალხის პედაგოგიკურ იდეების რეალიზაციას თანამედროვე მეცნიერებასა და პრაქტიკაში, ცდილობს გამოავლინოს შესაბამისობანი და შეუსაბამობანი თანამედროვე აღზრდის ამოცანებთან და მიზნებთან. (Г.Н. Волков, 1999)

აგროვებს რა და იკვლევს ეთნიკური ჯგუფების მრავალსაუკუნებრის პრაქტიკაზე დაფუძნებულ გამოცდილებას, ამასთან არ რჩება დროში გაყინული და განიცდის ცვლილებებს წამოყენებული ამოცანების შესაბამისად, რომელთაც უკვეთავს სოციალური გარემო. შესაბამისად, მისი კავშირი თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებასთან პირდაპირია და მჭიდრო.(Г.Н. Волков, 1999)

ხალხური ტრადიციების კვლევის ძირითადი მიზანია თვალი ადევნოს, როგორ და რა პირობებში წარმოიშვა ისინი, რა ღირებულებით მნიშვნელობას ხედავდა ხალხი მათში და რამ განაპირობა მათი საუკუნეების მანძილზე შენარჩუნება. ეთნოპედაგოგიკა იკვლევს ამ ტრადიციების პედაგოგიურ ღირებულებებს უკვე თანამედროვე პირობებში. (Г.Н. Волков, 1999)

ეთნოპედაგოგიკის კვლევის საგანი შეიძლება რამდენიმე პუნქტად ჩამოვაყალიბოთ:

- ხალხის პედაგოგიური იდეები და შეხედულებები.(მოვლა, აღზრდა, თვითაღზრდა, დარიგება, სწავლება).
- ბავშვი, როგორც აღზრდის ობიექტი და სუბიექტი.
- აღზრდის ფუნქციები.(გონებრივი, ფიზიკური, შრომითი აღზრდა).
- ფაქტორები აღზრდის პროცესში. (ბუნება, თამაში,მაგალითი).
- აღზრდის მეთოდები. (დარიგება, მაგალითი, ბრძანება, რჩევა, მინიშნება, წახალისება, აკრძალვა, გაკვეთილი, დასჯა და სხვა.)
- აღზრდის საშუალებები. (ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ლეგენდები, მითები).
- აღზრდის ორგანიზება. (შრომითი გაერთიანებები, ახალგაზრდული დღესასწაულები).(Г.Н. Волков, 1999)

მაშასადემე, პედაგოგიკის მეცნიერების ე.წ წყაროები ჩვენ უნდა ვეძიოთ ხალხური აღზრდის ტრადიციებში, რომელთა ძირითადი ნაწილი სწორედ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშია გადმოცემული, ზეპირსიტყვიერება კი ეთნოპედაგოგიკის კვლევისს საგანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ შევეცდებით ამ კავშირების სქემის სახით წარმოჩენას, დავინახავთ, რომ იკვრება ერთგვარი წრე:

დიაგრამა.#1



ზეპირსიტყვიერებისა და ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიის მჭიდრო კავშირზე გვესაუბრება მ. ჩიქოვანი, როდესაც წერს:

„ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები მდიდარია ხალხური ტრადიციებით, რომლებიც განსაზღვრულია მომავალი თაობის აღზრდისთვის. ხალხის პედაგოგიური შეხედულებები და იდეები ყველაზე კარგად ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშია გადმოცემული. რა არის ხალხური ზეპირსიტყვიერება? - ხალხური ზეპირსიტყვიერება ხალხის სულიერი კულტურის თვალსაჩინო ნაწილია, მასში ასახულია მათი ფილოსოფია, შემოქმდება, რწმენა-წაროდგენები, შეხედულებები სამყაროსზე, ადამიანის აღზრდაზე და ასე შემდეგ. ხალხური სიტყვიერება, ესაა პოეტური შემოქმედება ხალხის მასებისა, რომელიც ზეპირად იქმნება და გადაეცემა თაობიდან თაობას დაუწერელი სახით“. [მ.ჩიქოვანი, 1975, გვ. 32]

მ. ჩიქოვანის თქმით, აღზრდის წესები უხვადაა შემონახული ზეპირსიტყვიერებაში და აღზრდის ეს ფორმები ათასწლოვანი გამოცდილებით ხალხის ყოფაში კვლავ მოქმედებს. უკვდავია მისი საშუალებანი - ზღაპარი, ნოველა, ანდაზა, გამოცანა, სიმღერა თქმულება და სხვა. (მ.ჩიქოვანი, 1975)

ასე რომ, კავშირი ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებას შორის იმაზე ბევრად დიდია და ღრმა ვიდრე ეს უბრალოდ ერთი შეხედვით ჩანს. არა ერთი მკვლევარი, იქნება ეს ქართველი თუ უცხოელი, ასკვნის საკუთარი შრომებზე დაყრდნობით, რომ პედაგოგიკის მეცნიერების საწყისები ხალხური აღზრდის ტრადიციებში უნდა ვეძიოთ, ეს ტრადიციები კი, რაღა თქმა უნდა ისევ და ისევ ფოლკლორულ ნაწარმოებებშია შემონახული.

2.1 ხალხური პედაგოგიური აზრის მნიშვნელობისთვის

ამ კონკრეტულ პარაგრაფში, ხალხური პედაგოგიური აზრის მნიშვნელობის განსაზღვრას ჩვენ შევეცდებით იმ მკვლევართა და მეცნიერთა მიერ გამოთქმულ აზრთა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, როგორც ფოლკლორული მასალების, ისე პედაგოგიური მეცნიერების კვლევის საკითხებში.

ხალხური პეადაგოგიური აზრის მნიშვნელობაზე საუბარს დავიწყებთ დიდი ილიას სიტყვებითა და მისი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით, თუ რას ფიქრობდა იგი ამ საკითხზე;

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ნათელი მომავლის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად მომავალი თაობის გონებრივ, ზნეობრივ, ფიზიკურ აღზრდა-განათლებას მიიჩნევდა.

„უკეთესი არა იქნებოდა-რა, რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორი საუნჯის ერთად შექსოვაა“.[ჭავჭავაძე, 1955, IV, გვ.175].

სკოლას, საბავშვო ბაღებს, ლიტერატურას, რა თქმა უნდა ღირებული ცოდნის მიცემა შეუძლია ბავშვისთვის, თუმცა, როგორც ილია ამბობს, კარგად გაწვრთნილი ცოდნაც ვერ უზრუნველყოფს იდეალური პიროვნების ჩამოყალიბებას, საჭიროა ეს ადამიანი ზნეობრივადაც და სულიერადაც აღიზარდოს. ზნეობრიობაში ილია გულისხმობდა კაცთმოყვარეობას, შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, თავდაბლობას თავისი ქვეყნის პატიოტობას და ა.შ. სწორედ იმ ღირებულებებს, რომლის საცავი ფოლკლორი და ქართული ხალხური ზღაპებია. ილიას აზრს გავამყარებთ ან.ხინთიბიძის სიტყვებით;

„ ილია იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ წიგნი საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ ყოვლის შემძლე არ არის.“[ხინთიბიძე. 1986, გვ. 63]

და ილიასვე ციტირებს; *„არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდან გამოხედვა“*.[ან. ხინთიბიძე. 1986, გვ. 63]

აქ ვხედავთ, რომ აზროვნებისა და ერთიანობის იდეასთან გვაქვს საქმე, რაც ქართული ხალხური შეხედულების სული და გულია.

იან ამოს კომენსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხური აღზრდის ტრადიციებს და ხალხის სულიერ და კულტურულ მონაპოვარს ყველაზე ძვირფას საგანძურად მოიხსენიებდა. დიდი პედაგოგი ცდილობდა, ოფიციალურ სასწავლო პროცესში დაენერგა ხალხური აღზრდის ტრადიციები. ის რეკომენდაციას უწევდა განსაკუთრებით ნაწარმოებებს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, მისი აზრით, მორალური თემატიკის ზღაპრები, მითები თუ ლეგენდები ხელს უწობდა ბავშვის ზნეობრივ აღზრდას.

„იმან ვინც ბევრს მიაღწია მეცნერებაში, მაგრამ მოკლებულია მორალურ ღირებულებებს, წაგებული უფროა ვიდრე მოგებული“, [Я.А Коменский,1982, გვ. 127]

დიდი პედაგოგის სიტყვები ილიას აზრის ერთგვარ გაგრძელებათაც კი შეიძლება გავიგოთ.

ი.ა. კომენსკი წლების განმავლობაში აგროვებდა ხალხური სიბრძნის ნიმუშებს, რომლებსაც თავი ერთ კრებულში მოუყარა. მან საფუძვლიანად გამოიკვლია ხალხური პედაგოგიური აზრის განვითარების ეტაპები, თავის საყოველთაოდ ცნობის ნაშრომამდე „დიდი დიდაქტიკა“,(Я.А.Ко́менский,1875) ის ხომ მიდის „ჩეხური დიდაქტიკის“ შექმნით.

ხალხურ პედაგოგიკას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობას ანიჭებს აღმზრდელობით პროცესში უშინსკიც. მისი აზრით, მხოლოდ საზოგადოდ მიღებული პედაგოგიური მეთოდები არ კმარა სრულყოფილი განათლების პროცესის წარმართვისთვის.

„ხალხური აღზრდა იქმნებოდა ასწლეულების მანძილზე, ინარჩუნებდა საკუთარ ხიბლს და თვითმყოფადობას. საუკეთესო თუ რამე ჰქონია ხალხს ვლინდებოდა ეს მათ აღზრდაში, რომელიც ეხმარებოდა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებასა და ერთიანობაში. ჭეშმარიტად ხალხურ აღზრდად უნდა მივიჩიოთ ის, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან და ემსახურება ერის ერთიანობის შენარჩუნებას“. [К.Д.Ушинский, 1990, გვ. 194].

საინტერესოა, რომ როდესაც უშინსკი აღზრდის პროცესს ორ გვარად ყოფს; წინასწარგანსზღვრულსა (სკოლა, ოფიციალური სადამრიგებლო დაწესებულებები და ა.შ) და წინასწარგაუსაზღვრელად (ოჯახი, საზოგადოება, ბუნება და ა.შ), იგი უპირველესად ამ უკანასკნელს მიიჩნევს.

„წინასწარგანუსაზღვრლი გარემო უფრო ძლიერია, ფართო და მრავალმხრივია. მას უფრო მეტი დადებითი ან უარყოფით გავლენის მოხდენა შეუძლია იქონიოს ადამიანზე“.[გ.თავზიშვილი, 1980, გვ.189]

თავის ხელნაწერებში პეტრე უმიკაშვილი ამბობს;

„არც ერთ სასწავლო მასალას არ შეუძლია ისეთი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვზე , როგორც სახალხო ნაწარმოებებთაგან ამოკრეფილ მასალასო“. ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებასაც; *„ შეხედეთ , ბავშვი ხალხური არაკისა და ლექსის წაკითხვისას მთლად სიცოცხლედ გადაქცეულა.* [ან.ხინთიბიძე, 1986, გვ.60].

ი.გოგებაშვილმა ხალხურ მასალებს საპატიო ადგილი დაუთმო თავის სახელმძღვანელოებში. იგი ბავშვის ცხოვრების პირველი წლებიდანაც მოითხოვს ხალხური ფოლკლორული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით გამოყენებას.

„დედებმა სამი ოთხი წლის ასაკიდან უნდა მიაწოდონ ბავშვებს მარტივი ხალხური ლექსები და ზღაპრები“[ან.ხინთიბიძე, 1986, გვ.62]

აქვე დაგვემოწმება თანამედროვეობიდან განათლების აკადემიური დოქტორი ნანი მამულაძე, თავისი ნაშრომით;

„ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები მდიდარია ხალხური ტრადიციებით, რომლებშიც ხაზგასმით იკითხება ხალხის ზრუნვა მოზარდი თაობის გონებრივი აღზრდის მიზნის მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტისთვის“. [ნ.მამულაძე, 2012, გვ.147]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე ვფიქრობ არაა რთული იმის გაცნობიერება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური აღზრდის ტრადიციებს, იგი მნიშვნელოვანია როგორც სუფთა მეცნიერული თვალსაზრისით პედაგოგიკის სფეროში, ისე ეროვნულ-კულტურული მონაპოვარის კუთხით.

ხალხური აღზრდის ტრადიციების მნიშვნელობაზე საუბრისას, ლოგიკურია განისაზღვროს მისი მიზანი და ამოცანები;

„ხალხური პედაგოგიკა ყოველთვის ითვალისწინებდა ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, შრომით, ესთეტიკურ, ზნეობრივ აღზრდას, თუმცა ხალხური აღზრდის უმთავრეს მიზანს მუდამ წარმოადგენდა ხალხური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება, გაძლიერება და განვითარება.“[ნ. კაპანაძე 1975, გვ. 9]

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ხალხური აღზრდის მიზანი ხალხის ინტერესების დამცველი, ერთგული და მებრძოლი, მშრომელი, პატიოსანი ადამიანის მომზადებაა. თუმცა ამასთან ვიცით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ საფეხურზე ყოველთვის კონკრეტული მიზანი და ამოცანები იდგა, რაზედაც აღზრდას უნდა ეპასუხა, სწორედ მას უნდა გამოეწრთო ცხვრებისათვის მზადმყოფნი პიროვნება.(ქ.ჭკუასელი. 2012) .

ყოველ ეპოქაში ხალხი ერთს მოითხოვს, ჰარმონიული ადამიანის აღზრდას. გამოთქმა „სული და ხორცი ამხანაგები არიანო“ ამის მიმანიშნებელია. „სულში“ ან. ხინთიბიძეს მტკიცებით, ნაგულიხმევია ადამიანის გონებრივი, ზნეობრივი და ესტეტიკური მხარეები, „ხორცში“ კი ფიზიკური მდგომარეობა, ძალა და ჯანმრთველობა. ამის მიხედვით, ხალხის საერთო მიზნად და ამოცანად ჰარმონიული ადამიანის მომზადება უნდა მივიჩნიოთ. ყოველივე ამას კიდევ ერთხელ მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ხალხური აღზრდის ტრადიციები პედაგოგიკის მეცნიერების საფუძველია და ერთის მეორის გარეშე განხილვა დაუშვებელია.

შეჯამების სახით, ხალხურ აღზრდას სავსებით დარწმუნებით შეგვიძლია მივანიჭოთ მაღალი პედაგოგიური ღირებულება, რომლის მიზანს წარმოადგენს ჰარმონიული ადამიანის აღზრდა, ეროვნული და კულტურული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელის.

2.2 ხალხური პედაგოგიკის საფუძვლები

ხალხური პედაგოგიკა ხალხური აზროვნების პროდუქტია. მას როგორც ყოველ პედაგოგიკას, თავისი საფუძვლები აქვს, როგორიცაა ხალხის მხოფლმხედველობა,

გარემოს შემეცნების ხარისხი, ადამიანის ბუნების გაგება და სხვა. ან. ხინთიბიძემ ხალხური პედაგოგიკის ოთხი ძირითადი საფუძველი გამოყო. (ან.ხინთიბიძე, 1975)

ადამიანი არსებობის პირველ პირობად მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სწრაფვას ცნობს. ან. ხინთიბიძე განიხილავს „ამირანის“ ზღაპარს, სადაც იგი არ დაკმაყოფილდა გადაუმუშავებელი რკინით და მჭედელთან მიიტანაო, მისი აზრით, რკინის იარაღის შეძენისაკენ სწრაფვა სათანადო ცოდნა-უნარის დაუფლების გამუდმებულ ზრუნვად შეიძლება გავიგოთ, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას შემდეგი:

- მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა და სათანადო შეხედულებანი, რომლებიც უძველესი დროიდანვე ამოძრავებდა ხალხს, ხალხური პედაგოგიკის პირველ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ჯადოსნურ ზღაპრებში, რომლებშიც „კეთილ“ და „ბოროტ“ ძალებს შორის დაუნდობელი ბრძოლა წარმოებს, ხალხი აღწრს ხოლმე:“ბოროტ“ ძალთა წინააღმდეგ თავის „კეთილშობილი“ გმირების ბრძოლას და ამით სანიმუშო მაგალითს აძლევს ადამიანებს. ან. ხინთბიძეს თვალსაჩინოებისათვის მოჰყავს ამირანის, პრომეთეს, გილგამეშის მაგალითები ქართულ ფოლკლორში.(ან.ხინთიბიძე, 1976)

„ისინი არამც თუ ცნობენ ბოროტს, არამედ პრინციპულად ებრძვიან მათ“. [ან.ხინთიბიძე,1976, გვ.12]

- ამრიგად, ქართლ ფოლკლორში გატარებული კრიტიკული აზროვნებისა და ბრძოლის საჭიროების იდეები ხალხური პედაგოგიკის მეორე საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს.

მესამე საფუძვლის განსაზღვრისთვის ან. ხინთიბიძე ითვალისწინებს რა ი. ვოლკოვის თეორიას სტიქიური მატერიალიზმის შესახებ, აყალიბებს საკუთარ თეორიას. მისი აზრით, ხალხური აზროვნება გულუბრყვილო დიალექტიკური აზროვნების შემცველია, რის მიხედვითაც შეიძლება ხალხური პედაგოგიკის კდევ ერთი საფუძვლის განსაზღვრა;

- ხალხური სტიქიური მატერიალისტური თვალსაზრისი, რომელიც გულუბრყვილო დიალექტიკურ შეხედულებებს შეიცავს და ხალხის

დემოკრატიულ იდეოლოგიას ემყარება, ხალხური პედაგოგიკის მესამე საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული ფოლკლორის სხვადასხავა ნიმუშებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ხალხის წარმოდგენით სამყარო ერთ მთლიანს წარმოადგენს და ადამიანი ამ მთლიანობის ნაწლია. მკვლევარი სანიმუშოდ გვთავაზობს რამდენიმე ზღაპრის ანალიზსაც, მაგალითად, ზღაპარში „ვაშლა“, არწივი და ეშმაკი ღრუბლის სიძეები არიან და როგორც კი გაიგებენ მთავარი გმირის ვაშლას გაჭირვებას მაშინვე მის დასახმარებლად გაემართებიან. (ან. ხინთიბიძე,1976)

ბუნების მთილანობა არ ნიშნავს იმას, რომ ამ მთლიანობის ნაწილებს შორის დიალექტიკური წინააღმდეგობა და ბრძოლა არ მიმდინარეობს. როგორც ან. ხინთიბიძე განმარტავს ხალხის აზრით, როგორც „კეთილსა“ და „ბოროტს“ შორის მიმდინარეობს გამუდმებული ბრძოლა, ისე ყოველ ცაკლეულ საგანსა და მოვლენას შორის არის საწინაღმდეგო თვისებათა დაპირისპირება. სწორედ ეს დაპირისპირება მიაჩნია მეცნიერს განვითარების და წინსვლის ბიძგის მიმცემად ხალხური პედაგოგიკის აზროვნებისთვის, ამით კი იგი ასახელებს ხალხური პედაგოგიკის მეოთხე საფუძველს;

- აზრი, რომ სამყარო მთლიანია, ხოლო მის ნაწილებსა და ცალკეულ საგანსა და მოვლენაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა განვითარების სტიმულია; რომ ადამიანის განვითარებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს „თეორიისა“ და პრაქტიკის უშუალო კავშირი ასრულებს, ხალხური პედაგოგიკის მეოთხე საფუძვლად შეიძლება მივიჩიოთ.

შეჯამების სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ ან. ხინთიბიძე ხალხური პედაგოგიკის საფუძვლების პუნქტებად გამოყოფითა და განსაზღვრით, გვთავაზობს ხალხური პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიის ზოგად მოდელს, რომელიც შეიძლება მომავალში დაგვეხმაროს თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებასთან კავშირის დანახვაში.

2.3 დიდაქტიკური პრინციპები ქართულ ფოლკლორში

პედაგოგიური საქმიანობა წარმოუდგენელია დიდაქტიკის გარეშე. სწავლება და სწავლა ხომ განუყოფელი ნაწილია ერთანეთისაგან. ხალხური პედაგოგიკა უკვე

უდავოა, რომ ადამიანის მიზანმიმართულ აღმზრდელობით საქმიანობას გულისხმობს, თუმცა შეიძლება დაისვას კითხვა; ვხვდებით თუ არა მასში დიდაქტიკურ პრინციპებს?

ქართულ ფოლკლორში დიდაქტიკური პრინციპები იკვლია ან. ხინთიბიძემ.(ან. ხინთიბიძე, 1976)

ფოლკლორულ ნაწარმოებებში ჰარმონიულადაა შერწყმული ხალხის ფართო მასების მისწრაფება ცოდნის, შრომის, თანასწორობის, კაცთმოყვარეობის, პატრიოტიზმის, სიყვარულისა და სიკეთის მიმართ, რომელნიც ადამიანის ყველა საუკეთესო ნიშან-თვისება წარმოადგენს. ყოველივე ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ფოლკლრში მოიპოვება სასწავლო მასალა და სწავლების ერთგვარი შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდები და ძირითადი ამოსავალი დებულებები.

„ფოლკლორული ნაწარმოებების უფრო ღრმად კვლევამ გვიჩვენა, რომ ხალხური დიდაქტიკის საზღვრები ქართულ ფოლკლორში მეტად ფართოა“. [ან.ხინთიბიძე, 1986, გვ. 48]

რის საფუძველზე უნდა წარმოებდეს ცოდნის დაუფლება?

ან. ხინთიბიძე ასკვნის, რომ გარემოს შემეცნება და ცოდნა მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი ხალხს, ვინაიდანაც ხალხური აღზრდის იდეები მიმართულია სინამდვილიდან, ცხოვრებიდან მოწყვეტის გარეშე, რაც ასევე გამორიცხავს ობიექტური სინამდვილის გაგების სქოლასტიკურ გზას. ხალხის მატერიალისტური თვალსაზრისი არა მხოლოდ შემეცნების, არამედ დიდაქტიკის სფეროშიც ვლინდება. კვლევათა საფუძველზე, ქართულ ფოლკლორში აღმოჩნდა მოსაზრებანი მხედველობის, სმენის, გემოვნების, შეხებისა და ყნოსვის გრძნობათა ორგანოებზე, როგორც ობიექტური შემეცნებისა და ცოდნის შეთვისების საფუძველზე, რომელთაც უდიდესი როლი უნდა შეესრულებინათ ახალგაზრდის გონებრივ აღზრდაში, ხოლო ცოდნა და გონიერება ფიზკური განვითარების ხელმშემწყობი უნდა ყოფილიყო.(ან. ხინთიბიზე. 1963)

აქედან გამომდინარე, ხალხური დიდაქტიკა საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვებებს ემყარება, ხოლო შემდეგ - ამ დაკვირვებიათა განზოგადებას. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, სწავლება ნაადრევ საბავშვო ასაკში თამაშით იწყება, ხოლო შემდეგ შრომის პროცესში უფრო მოწესრიგებულ სახეს ღებულობს, ფართოვდება და ღრმავდება. (ან. ხინთიბიზე,1976).

ან. ხინთიბიძის კვლევევის მიხედვით, (ან. ხინთიბიძე, 1976) ქართულ ფოლკლორში ცოდნის გადაცემის რამდენიმე პრინციპი ჩანს. მკვლევარი მას გარკკვეული წესით დალაგებულს გვთავაზობს, შევეცდებით დავასახელოთ და განვსაზღვროდ თითოეულის არსი:

- **შეგნებულობის პრინციპი.** შეგნებულება აუცილებელია ცოდნის ათვისების პროცესში, რაც ძირითადად გულისხმობს, რომ მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს სწავლის მნიშვნელობას. რას გულისხმობს ეს? - ხალხი აღსაზრდელს ორ უმთავრეს მოთხოვნას უყენებდა; 1-ლი, ცოდნას დაუფლებოდა , რომ ცხოვრებაში არ დამარცხებულიყო და მე-2. გონივრულად გამოეყენებინა ცოდნა. მაშასადამე აღსაზრდელი შეგნებულად, როგორც მორალურად ისე ფსიქოლოგიურად მომართული იყო ცოდნის ათვისებისაკენ.
- **თვალსაჩინოების პრინციპი.** ფოლკლორული მასალებიდან ჩანს, რომ თვალსაჩინოებას ხალხურ სკოლაში ცნობდა ხალხი მეტად საჭიროდ. უფროსი (დედა, მამა, დედმამიშვილები) უჩვენებდა ბავშვს თავის მაგალითზე, თუ როგორ შეესრულებინა ესა თუ ის საქმე, თან ყველაფერი ეს ხდებოდა არა განყენებულად, არამედ ბავშვის თანამონაწილეობით.
- **თანმიმდევრობის პრინციპი.** მკვლევარის თქმით, ხალხურ პედაგოგიკაში საკმაოდ ნიშვნელოვანია ეს პრინციპი, რადგან იგი არა მარტო ცოდნის ათვისებას უწყბს ხელს, არამედ აღსაზრდელს აჩვევს დისციპლინას, ზნეობრივად წვრთნის და ხელს უშლის გაზარმაცებას. ა. ხნთიბიძეს აზრის განსამტკიცებლად მაგალითად მოჰყავს ძველი ხალხური გამოთქმა: *„ვინც ანი თქვა, იმან ბანიც უნდა თქვასო“* [სვინტიძე, ქართ.ანდაზ. გვ.61] რომელიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.
- **ცოდნის განმტკიცების პრინციპი.** გადაცემული მასალის დამახსოვრებისათვის ხალხი გამეორებას ცნობს საჭიროდ, ასე იყო ძველათაც. ხალხური გამოთქმა „გამეორება ცოდნის დედაა“ ამ პრინციპის მნივნელობაზე მიუთითებს. ცნობიერებაში განმტკიცებისა და დამახსოვრების მიზნით ყოფილა ზღაპრებში სისტემაში მოყვანილი გამეორებანი: “იყო და არა იყო რა“ ან „ იგი იყოს ჭირში, ჩვენ ვიყოთ ლხინში“,

რის იდეასაც „ბოროტი ძალების“, მავნე ადამიანეის გაკიცხვას წარმოადგენდა. ასევე გამეორება ხშირადაა გამოყენებული საბავშვო ნაწარმოებებში, ენის გასატეხებში, რაც ბგერებისა და სიტყვების უკეთ დამახსოვრებას უწყობდა ხელს.

- **მისაწვდომლობის პრინციპი.** შეგნებულობით, თვალსაჩინოებით, თანმიმდევრობითა და გამეორებით მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ ბავშვის თავისებუებანი არ გავითვალისწინეთ. სამეცნიერო პედაგოგიკა მოსწავლის ასაკობრივ მომწიფებას ითვალისწინებს, ცხადია რვა წლის ბავშვს გაცილებით ნაკლების სწავლა შეუძლია ვიდრე ათი წლისას. ან. ხინთიბიძე ფოლკლორშიც პოულობს ხალხის აღმზრდელობით შეხედულებებს ბავშვის ასაკთან დაკავშირებით და იმოწმებს ისევ და ისევ ნაწყვეტებს ფოლკლორული ნაწარმოებიდან; *„მეხრეობას ვერ გაგიწევ, პატარა ბიჭი მქვიაო“*[შრომის სიმღერები, გვ.37]

  საიდანაც ჩანს, რომ ხალხი სამართლიანად ფიქრობს, რომ არ შეიძლება ასაკის შეუსაბამო მასალის გადაცემა და საქმიანობი დავალება აღსაზრდელისთვის, რადგან ამან შეიძლება მასში ინტერესის დაკარგვა გამოიწვიოს, ანდაც სწავლების პროცესი გაართულოს და გააჭიანუროს.

- **ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი.** თანამედროვე პედაგოგიკის მენიერებაში თითოეულ ბავშვს თავისი გონებრივი, ინდივიდუალური შესაძლებლობა აქვს. ამ შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა დამყარდეს ბავშვთან ურთიერთობა. მკლევარს თქმით, რომ ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობითაც, შეიძლება ითქვას, რომ ხალხი სავსებით აცნობიერებდა ამ პრინციპს, არგუმენტებად კი კვლავ ფაქტობრივ მასალებს იყენებს, კერძოდ ამონარიდებს ხალხური ლიტერატურული ტექსტებიდან: *„შვილი ჩემია, მაგრამ ჭკუა კი თავისი აქვსო“.* [თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 2, გვ.288]. *„გონიერსა ერთი უთხარი, უგუნურსა ათასიო“*, ეს ერთი შეხედვით მარტივი გამოთქმა ხალხურ აღზრდის ტრადიციებზე ბევრს გვეუბნება, კერძოდ; ხალხის აზრით, ჯერ უნდა შევამოწმოთ რა მდგომარეობაშია ადამიანი და შემდეგ ამის

მიხედვით ვიქონიოთ მასთან ურთიერთობა, ესეგი, ადამიანებთან დამოკიდეულება და კერძოდ სწავლების პროცესი ფსიქოლოგიური დასკვნების შემდეგ უნდა ჩატარდესო. მაშასადამე, ხალხი მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებათა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის განვითარებასაც სცნობს საჭიროდ.

- **სწავლების შინაარსი.** ხალხური საწავლების შინაარსში იგულისხმება ის თუ, რა უნდა იცოდეს ადმიანმა რა მიზნით. ხალხური ზეპირსიტყვიერება მდიდარია სასწავლო მასალით. ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, ხალხის აზრით, მხოლოდ იმდენადაა საჭირო, რამდენადაც ის ცხოვრების მოთოვნილებებს უპასუხებს. ან. ხინთიბიძე წერს, რომ მატერიალისტურმა თვალსაზრისმა ხალხს საშუალება მისცა, თუმცა შეუგნებლად, მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში, ადამიანის საქმიანობის ყოველ დარგში მტკიცედ დაეკავშირებინა ცოდნა-გამოცდილება ცხოვრებასთან. ეს ხალხური პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ.(ან.ხინთიბიძე, 1976)

როგორც ვხედავთ, ქართული ფოლკლორის და კერძოდ ქართული ზეპირსიტყვიერების აღმზრდელობითი ღირებულება ან. ხინთიიძემ შემოგვთავაზა მასში დიდაქტიკური პრინციპების აღმოჩენითა და დასახელებით. მკვლევარმა საერთო ჯამში 7 დიდაქტიკური პრინციპი გამოყო, რომელთა არსის მოკლე განსაზღვრასაც ჩვენ შევეცადეთ.

2.4 ცოდნა-გამოცდილების გადაცემის მეთოდები ქართულ ფოლკლორში

რამდენადაც ახალხგაზრდობის აღზრდის აუცილებლობას ხალხი აცნობიერებდა, ბუნებრივია, მის აღზრდის საშუალებებზეც უნდა ეფიქრა. ამით უნდა აიხსნას, რომ ცოდნის გადაცემის ზოგიერთ მეთოდს უძველესი პერიოდების ქართულ მითოლოგურ ზღაპრებშიც კი ვხვდებით. ან. ხინთიბიძეს მიხედვით, რომ ქართულ ფილოლოგიაში ჯერ-ჯერობით შენიშნულია: თხრობა, ახსნა, კითხვა-პასუხი და ვარჯიში. შევეცდებით თითოეული მოკლედ განვსაზღვროთ.

თხრობა და ახსნა. ფოლკლორის თანახმად, ცოდნის გადამცემი, უფრო ხშირად, თვით ხალხია, ზოგჯერ კი მისივე აზრების გადამცემად ნაწარმოების რომელიმე პერსონჟია გამოყვანილი. ფოლკლორში მრავლადაა ნაწარმოებები, რომელთა პერსონჟები მრავალი სახის ცოდნას გადასცემენ ადამიანებს. მაგალითად, ზღაპარში - „დურგალი და მისი ცოლი“ თხრობის საშუალებით ბუნების საიდუმლოების შეცნობის გზებია გადაცეული. როდესაც ცხოველი, რომლის ენას ადამიანი თავის ენას შეახებს, ამ უკანასკნელს აფრთხილებს - არავის უთხრა, თორემ მოკვდებიო. გვხვდება გამოცანები, რომლებიც საერთო წარმოდგენას უქმნის ბავშვს წისქვილის მოქმედებაზე.

ან. ხინთიბიძე შენიშნავს, რომ ფოლკლორულ მასალებში თხრობას აქვს ადგილი მეხილეობის სწავლების დროსაც. თხრობა ხშირად საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებებს ემყარება. ახსნა-განმარტებას აქვს ადგილი ძველ თამაშში „ჩიტიფაფობა“. აქ ცოდნაა იმის შესახებ, რომ ცომის შემზადებისთვის წყალია აუცილებელიო, განარტავს მეცნიერი. (ან.ხინთიბიძე, 1976)

თხრობა და ახსნა თანამედროვე ყველა სასწავლო პროცესშია გამოყენებული. სამეცნიერო პდაგოგიკაში ამ მეთოდების გამოყენებისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვაც ახლავს თან, რასაც ზოგჯერ ფოლკლორშიც ვხდებით, ეს გარემოება კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ხალხური აღმზრდელობითი ტრადიციების კავშირს თანამედროვე პედაგოგიის მეცნიერებასთან.

კითხვა-პასუხი. (საუბარი) თხრობის შემდეგ, ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდად მიიჩნევს ან. ხინთიბიძე ფოლკლორში. დიალოგი, კი რომლის გარეშეც ეს მეთოდი წარმოუდგენელია და მრავალ ნაწარმოებში გვხვდება. მეცნიერის აზრით, კითხვა-პასუხს ხალხი დიდად აფასებს, რადგან მასში ცნობისმოყვარეობის აღზრდის

კარგ საშუალებას ხედავს. ცნობისმოყარეობა კი ცოდნის დაუფლების და ადამიანის განვითარების კარგი საშუალებაა, ამიტომ ხალხი მრავალ ნაწარმოებში მიმართავს ამ გზას. ავიღოთ ზღაპრები, რომელთა ახალგაზრდა პერსონაჟებს, ხშირად მოხუცი ქალები, ძნელად მისასვლელ ადგილას მყოფ მზეთუნახავებზე ჩამოუგდებენ ხოლმე საუბარს და ინტერესს უღვივებენ მათ მიმართ. ინტერესის აღზვრას ვხედავთ ზღაპარში „ლერწმის ქალი“, როცა მოხუცმა ვაჟს უთხრა - *„ისეთი ქალი სიყვარული ჩაგივარდეს გულში, რომ ადამიანის ნაშობი არ იყოსო“* [„ხალხური სიბრძნე“,1963. გვ. 65-72] მკვლევარს მიაჩნია რომ, ასეთი ხერხით მოხუცმა ინტერესი და მიზნის მიღწევის სურვილი გამოიწვია ვაჟში.(ან.ხინთიბიძე, 1976)

ან. ხინთიბიძე ასევე შენიშნავს, რომ ხალხური აღზრდის ტრადიციებში ცოდნის გადაცემის დასახელებული მეთოდების გარდა შეინიშნება შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოცდის მცდელობაც. ამ მხრივ მას როგორც თვალსაჩინოებანი მოჰყავს ხალხური გამოცანები, რომლთა ამოსახსნელად აღსაზრდელს სწორედ უკვე შეძენილი ცოდნა-უნარების სათანადოდ გამოყენება სჭირდება. (ან.ხინთიბიძე, 1976) აღნიშნული გარემოება კიდე ერთხელ უსვამს ხაზს ხალხური პედაგოგიკის დიდაქტიკურ სწავლების პრინციპებთან მჭიდრო კავშირს.

თავი III. ზღაპრები

ხალხური ზღაპარი კაცობრიობის სულიერი ცხოვრების დასაწყისი, მისი აზრისა და გრძნობის გამოხატვის უძველესი ნიმუშია. ცხადია, ყოველი ეპოქა და თაობა თავისებურად კითხულობს ფოლკლორულ ნაწარმოებებს და თავისი ინტერესების შესაფერისი დასკვნები გამოაქვს, მაგრამ უცვლელი რჩება მისი მთავარი დანიშნულება - ხალხის, მოზარდი თაობების სულიერი აღზრდა. მათი ზნეობისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბება. ამ დიდ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო საქმეში ხალხურ ზღაპარს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

„ზღაპარი, ეს უავტორო და უთარიღო ფენომენი, ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, იხვეწებოდა და ინახებოდა ჭირსა და ლხინში, გლეხისა თუ ბატონის ოჯახში. ხალხური ზღაპარი სრულიად უნიკალური, განუმეორებელი ეროვნული ფენომენია და ერთგვარი სავიზიტო ბარათი სხვა ხალხთა წინაშე წარდგომისთვის“. [თ.ქურდოვანიძე, 1983, გვ. 64]

გამოთქმული მოსაზრება ზუსტად პასუხობს ნაშრომის კვლევით მიზნებს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი ჩვენს ეპოქაში.

ცნობილი პედაგოგები ყოველთვის მაღალი წაროდგენის იყვნენ ზღაპრებზე. უშინსკი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზღაპრებს, რომ ჩართო თავის პედაგოგიურ სისტემაში. ზღაპრების ასეთ წარმატება აღმზრდელობით პროცესში, უშინსკის აზრისთ, გამოწვეული იყო იმით, რომ მათში ასახული პედაგოგიური ტრადიციები ბავშვს მიეწოდებოდა ისეთივე გულრწფელი და მარტივი სახით, როგორიც თავად ბავშვის ფსიქოლოგია იყო.

„ხალხურ ზღაპრებში ხალხი, თვითონ როგორც ბავშვი ისე ესაუბრება ბავშვებს დიად მიზნებდა და ოცნებებზე, ხშირ შემთხვევაში კი ამ ოცნებების თავადაც სჯერა“, წერს უშინსკი. [К.Д.Ушинский,1988, გვ, 185]

ასე რომ, ზღაპრები წარმოადგენენ ასწლეულების მანძილზე მრავალგზის გამოცდილ და აღიარებულ მნიშვნელოვან აღმზრდელობით საშუალებას. ბავშვები და ზღაპრები ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია, ისინი შექმნილნი არიან ერთმანეთისთვის, ამიტომ ხალხური ზღაპრების შეტანა აუცილებელია

საგანმანათლებლო პროცესში, ამისათვის კი უნდა მოხდეს მისი ფენომენის ყოველმხრივ შესწავლა.

ნაშრომის თემა წარმოადგენს „ოჯახური აღზრდის მოდელები ქართულ ხალხურ ზღაპრებში“, დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, მიზნად ისახავს სწორედ ზღაპრის ფენომენის სიღრმისეულად შესწავლას, კონკრეტულად კი პედაგოგიური კუთხით.

იმისათვის, რომ შევძლოთ იდენტიფიცირება და განსაზღვრა კონკრეტული აღმზრდელობითი მოდელისა ნაწარმოებში, შემდეგ კი მიღებული შედეგებისა და დასკვნების განზოგადება, აუცილებელია ჯერ განვსაზღვროთ თვითონ ზღაპრისა და ოჯახის ფენომენი მეცნიერულ-ტრუქტურული თვალსაზრისით, რაც უკვე დაგვეხმარება, რომ შერჩეული კვლევის ერთეულის საფუძველზე მიღებული შედეგები შეუსაბამოთ თანამედროვე რეალობასა.

3.1 ვ. პროპის თეორია

სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის არსებობდა თეორიები იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ერთი საერთო მოდელის შექმნა ზღაპრებისთვის. პირველი ვინსც საკითხს სერიოზული სამეცნიერო თვალსაზრისით მიუდგა იყო რუსი ლინგვისტი ვლადიმირ პროპი. მან შემოგვთავაზა ზღაპრებში პერსონაჟების ქმედებები, როგორც ფუნქციები გარკვეული მიზნით დატვირთული, მისივე აზრით, სწორედ ფუნქციები წარმართავს ზღაპრებში განვითარებულ მოვლენებს. ჯადოსნურ და ე.წ კლასიკურ ზღაპრებზე დაყრდნობით პროპმა გამოყო პესონაჟის 31 ფუნქცია, როგორც ზღაპრის გმირის მოქმედება. (В.Я. Пропп,2001) მკვლევარის თქმით, ფუნქციების თანმიმდევრობა ყველა ზღაპრისთვის ერთნაირია და უცვლელი, თუმცა ყველა ზღაპარი აუცილებელი არაა ყველა ფუნქციას შეიცავდეს, მისი თეორიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ზღაპარი ამ ფუნქციებს შეიცავს ის მიყვება პროპის მიერ განსაზღვრულ თანმიმდევრობას.

პროპი ასევე განსაზღვრვს ზღაპრის მოქმედი პერსონაჟების როლებს. თითო როლი შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ფუნქციით იყოს დატვირთული. მან სულ გამოყო 7 როლი;

- მეფი ასული.
- გამგზავნელი.
- გმირი.მჩუქებელი.
- დამხმარე.
- ანტაგონისტი.
- ფსევდო გმირი.

დასკვნა, რომლამდეც მივიდა პროპი ზღაპრის სტრუქტურასთან დაკავშირებით, შეიძლება საკმაოდ კატეგოიულადაც ჟღერდეს; ჯადოსნური ზღაპარია ნაწარმოები, რომელშიც მოყვანილია ყველა ან რამოდენიმე პერსონაჟი ზემოდხსენებული 7 დასახელებულიდან, ხოლო სიუჟეტი შეიცავს 31 ფუნქციას (შესაძლებელი გამოტოვებებით) მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. (В.Я. Пропп,2001)

შემოთავაზებულ თეორიასთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროპმა შეისწავლა და აღწერა ძალიან დიდი რაოდენობა ზღაპრების, მიუხედავად იმისა რომ მხოლოდ რუსულ ზღაპრებზე მუშაობდა, მისი სტრუქტურა შეესაბამება სხვა ქვეყნის ხალხთა ზღაპრებსაც.

„პროპის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურა დასტურდება სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრების მაგალითზე და მათ შორის ქართულზეც, თუმცა არსებობს გამონაკლისები, რომლებიც ასეთ სტრუქტურაში არ ჯდება და მაშინ ასეთი ზღაპრები ითვლება იგავებად, მითებად, ლეგენდებად და ა.შ.“[ნ. მესტვირიშვილი, 2014, გვ.16]

ასე რომ, პროპმა უჩვენა, რომ ზღაპრის სპეციპიკა მდგომარეობს არა მოტივებში, არამედ სტრუქტურულ ერთეულებში, რომელთა გარშემო ჯგუფდებიან მოტივები. მან სტრუქტურული კვლევის შედეგად შეძლო, რომ ყველა ჯადოსნური ზღაპარი ერთ ზღაპრამდე, ერთ საწყისამდე დაეყვანა.

3.2 პედაგოგიური მოტივები ზღაპრებში.

(ან. ხინთიბიძის, ლ.ფ. კრიდის, ჯ.რ.რ. ტოლკინის მიხედვით)

3.2.1 ან. ხინთიბიძის თეორია

შეუძლებელია ზღაპრის ფენომენის სრულად და ამომწურავად განსაზღვრა, ამიტომ კვლევის სპეციპიკიდან გამომდინარე გავამახვილებ ყურადღებას იმ ძირითად თავისებურებებზე, როგორიცაა ეროვნულობა, ოპტიმიზმი, საინტერესო სიუჟეტი, შემეცნებითობა და რა თქმა უნდა დიდაქტიკურობა. მოცემულ თავში დავეყრდნობით ქართველი მკლვლევრის ან. ხინთიბიძის, ამერიკელი ლ. ფ. კრიდის და ინგლისელი ჯ. რ.რ ტოლკინის კვლევებს და თეორიებს.

ხალხური ზღაპრისთვის ძირითად შემოქმედებით წყაროს ყოველთვის წარმოადგენდა თავად შემოქმედი ხალხის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება. ბძოლა გადარჩენისათვის, რწმენა-წარმოდგენები, გარემო პირობები, ბუნება და სხვა.

ზღაპრების უმრავლესობაში არეკლილია ხალხის საუკეთესო თვისებები, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, ერთგულება, მეგობრობა, სიყვარული, პატრიოტიზმი, ნიჭიერება. სწორედ ამის გამო, ზღაპრების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი თვისებაა ეროვნულობა.

ან. ხინთიბიძე კვლევევბში შენიშნავს, რომ ზღაპრის კეთილშობის გმირებს ხშირად ეხმარება ბუნება ბოროტებასთან ბრძოლაში. ჩიტები გამაფრთხილებელ ნიშნებს აძლევენ გმირს, ხეები გზას უჩვენებენ ან მალავენ მდევარისგან, ცხოველები იცავენ ან დახმარების მინიშნებებს ეუბნებიან და აშ. ყოველივე ამაში ასახულია ადამიანის მიმართება ბუნებასთან, მისი სწრაფვა მის შეცნობასა და დამორჩილებაში. ზღაპრებზე დაკვირვებით, მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი არა განზე მდგარი სუბიექტი, არამედ ბუნების ნაწილია და შეიძლება გამგებელიც.(ან.ხინთიბიძე, 1976)

„ ქართულ ფოლკლორში მრავლადაა ზღაპრები, რომელთა მიხედვით, ფრინველები, ცხოველები, წყალი და ადამიანი მტკიცედ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები და საერთო ინტერესებით ცხოვრობენ.“[ან. ხინთიბიძე, 1976, გვ. 15]

ან. ხინთიბიძე არანაკლებ ყურადღებას უთმობს ზღაპრებში ისეთ აღმზრდელობით მოტივებს, როგორიცაა ოპტიმისტური დამოკიდებულების შექმნა ზღაპარში პრობლემური და რთულად გადასაწყვეტი სიტუაციების მიმართ, უკეთესი მომავლის იმედით ფიქრის უნარის განვითარებას, სწავლის მიმართ ინტერესის გაღვივებას, ღირსეული თვისებების ჩამოყალიბებას და რაც მთავარია დიდაქტიკას.

მრავალი ზღაპარი შთააგონებს მსმენელს სიმართლეს, რომ სიკეთე ყოველთვის სძლევს ბოროტს. როგორც ყოველთვის, ზღაპრის მთავარი გმირი დიდი ხნის ტანჯვისა და გაჭირვების შემდეგ აღწევს დასახულ მიზანს და ეწევა ხოლმე ბენიერებას.

ოპტიმიზმი ზღაპრებში განსაკუთრებით იზიდავს ბავშვებს და აძლიერებს ნაწარმოების პედაგოგიური მოტივების მიმღეობას.

საინტერესო და სახალისო სიუჟეტი მეტად ეფექტურს ხდის ზღაპარს, როგორც პედაგოგიურ საშუალებას. ზღაპრებში მოვლენათა განვითარების სქემა საკმაოდ რთული და მრავალმხრივია, სწორედ ეს გარემოება ხდის ნაწარმოებს განსაკუთრებით საინტერესოს ბავშვებისთვის.(ან. ხინთიბიძე, 1976)

გამომხატველობითობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია ზღაპრის, ის აადვილებს ბავშვის მიერ აღმას, რომლებიც ჯერ არ არიან მიჩვეულნი აბსტრაქტულ აზროვნებას.

გმირებში საკმაოდ მკვედრად და ზუსტად ჩანს ძირითადი თვისებები, რომლებიც ახლოს დგას ეროვნულ მახასიათებლებთან; სიმამაცე, შრომისმოყვარეობა, გონებამახვილობა და აშ. იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკურ ნიშნებზეც; სიძლიერე, ვაჟკაცობა, სისწრაფე და აშ.

„დიდაქტიკურობა წარმოადგენს ზღაპრების ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას. ყველა ერის ზღაპრებში შეინიშნება პედაგოგიური მოტივები“.[ან.ხინთიბიძე,1976, გვ.32]

ზღაპრებში ხშირად გვხვდება მინიშნებები, რომლებიც უფრო აძლიერებენ მის დიდაქტიკურობას. დიდაქტიკურობის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ

ბავშვს დარიგება მიეწოდება არა საყოველთაო შეგონებითა და სწავლებით, არამედ მარტივი, კონკრეტული მაგალითის საფუძველზე.

ასე რომ, დიდაქტიკურობა ოდნავადაც არ აკნინებს ნაწარმოების მხატვრულ სიუჟეტს და სწორედ ესაა ზღაპრის პედაგოგიური ეფექტურობის საფუძველი. თითქმის ველა ზღაპარი შეიცავს ამა თუ იმ პედაგოგიურ ელემენტებს, თუმცა არის ზღაპრები, რომლებიც მთლიანად მიძღვნილია ამა თუ იმ აღზრდის პრობლემაზე. (ან. ხინთიბიძე, 1976)

როგორც ვხედავთ, ან. ხინთიბიძის კვლევების მიხედვით, ხალხური ზღაპრები მართლაც, რომ ხალხის კულტურული და ეროვნული მონაპოვარია, სადაც ასახულია მათი ტრადიციები, შეხედულებები, რწმენა-წარმოდგენები, პედაგოგიური იდეები და მეთოდები.

3.3.2 ლ.ფ. კრიდის თეორია

კრიდის კვლევების მიხედვით,(L.F.Kready,1916) ზღაპრების პედაგოგიური ღირებულება საკმაოდ მაღალია და ბავშვის აღმზრდელობით პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

„ზღაპრებს მოაქვს ბედნიერება ბავშვებისთვის, ბედნიერება კი ხელს უწყობს მათ ჯანმრთველობას, გონებრივ და მორალურ განვითერებას“,[L.F.Kready, 1916, გვ.21].

კრიდმა გამოყო რამდენიმე გაქტორი როგორც ზღაპრის როლი ბავშვის აღმზრდელობით პროცესში.

ზღაპარი, როგორც თამაშის ერთ-ერთი ფორმა. მისივე თქმით, ზღაპარი უბიძგებს ბავშვებს შინაგანი ქმედითი იმპულსებისაკენ, რომლებიც გამოხატულებას ჰპოვებს სწორედ თამაშის სახით, ეს ქმედითობა შეიძლება იყოს როგორც სიმბოლური ისე რეალური, ყოფითი მოვლენების ამსახველი. ასე რომ, თამაშით, ზღაპარი აძლევს ბავშვს საშუალებას გაეცნოს ადამიანის რეალურ ღირებულებებს.(L.F.Kready,1916)

ზღაპარი, როგორც ყურადღების კონცენტრაციისა და დაკვირვების უნარების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. ნაწარმოებში არსებული მოვლენათა მრავალფეროვნება, ობიექტთა სიმრავლე, (წარმოდგენილი ბუნების მოვლენებით,

პერსონაჟებით) რომელიც განსაკუთრებულა საჭიროებს ყურადღების გამახვილებას ბავშვის მხრიდან, აჩვევს მას დაკვირვებას, გონების მოკრებას. (L.F.Kready,1916)

ზღაპარი ხელს უჭყობს ბავშვში ემოციური და წარმოსახვითი უნარების განვითარებას.

„აღმზრდელობით პროცესში ზღაპრის რეგულარული ჩართვა საკმაოდ მაღალი შედეგების მომტანია“.[L.F.Kready, 1916, გვ. 22]

ოჯახურ გარემოში მიწოდებული ზღაპრები განსაკუთრებით კარგად აფართოებენ ბავშვის სოციალურ უნარებს, ასეთ შემთხვევაში ბავშვი შეგნებულად აცნობიერებს საკუთარ დამოკიდებულებას მშობლების მიმართ, ოჯახის წევრების მიმართ, უმძაფრდება ისეთი გრძნობები, როგორიცაა ზრუნვა და სიყვარული სხვის მიმართ, რის საფუძველზეც კი დროთა განმავლობაში ეუფლება სოციალურ ურთიერთობებს, განასხვავებს კარგს და ცუსდ, სწორს და არასწორს.

აღსაზრდელში ჩნდება სამართლიანობის მკვეთრი განცდა, განსაკუთრებით კი დაუცველების მიმართ, თანაგრძნობის განცდა გაჭირვებულთა მიმართ. ბავშვს ზღაპარში ასახულ მოვლენათა მაგალითზე უჩნდება პროტესტი დანაშაულის დასჟისა და აღკვეთისა.

„ზღაპრების საშუალებით ბავშვი ეზიარება სხვადასხვა ხედვას ცხოვრების შესახებ“. [L.F.Kready,1916, გვ. 24]

ზღაპრის გმირები, რომლების გამორჩევიან თვითგანწირვით, რაც გამოიხატება გამოჩენილი ვაჟკაცობით, შეუპოვრობით, სიკეთით, ერთგუებით, საართლიანობით, ემპათიით, ამტანობით, სიმამაცით, შრომისმოყვარეობით და აშ. ხდებიან ბავშვების მისაბაძი ობიექტები.(L.F.Kready,1916)

ასე რომ, კრიდის მიხედვით, ზღაპრები ქმნიან ოჯახური ურთიერთობებისა და ეთიკური ნორმების ერთგვარ კონცეპციას, აფართოებს ბავშვის სოციალური პასუხისმგებლობისა და მოვალეობების განცდას, ავითარებს გონებას, კრიტიკულ აზროვნებას და დაკვიებეულობას, ხელს უწყობს ჯანმრთველობას და გარკვეული სახით სძენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

კრიდი ზღაპრებს რეკომენდაციას უწევს, როგორც სკოლებში სასწავლო პროცესის, ისე ოჯახური აღზრდის განუყოფელ ნაწილს.

„მშობელს არ შეუძლია ყოველ წუთს და წამს თვალი ადევნოს შვილის ქმედებებს. ზღაპრების საშუალებით კი მათ შეუძლიათ განამტკიცონ შვილების ნებისყოფა კრიტიკულ სიტუაციებში“. [L.F.Kready, 1916, გვ.24]

როგორც კრიდი ამბობს, ზღაპრების აღმზრდელობით პროცესში ჩართვა უნდა ხდებოდეს ჯერ კიდევ მცირე ასაკიდან, როცა ბავშვის იდეალები იწყებს ფორმირებას, მათი განცდები და ემოციები გულრწფელია და განსაკუთრებით მგრძნობიარე გარეშე ზემოქმედების მიმართ. (L.F.Kready,1916)

თუ ჩვენ გავიზიარებთ კრიდის მოსაზრება, ბუნებრივია მივალთ იმ დასკვნამდეც, რომ ოჯახური აღზრდის მოდელები, რომლებიც შეიძლება იყოს გადმოცემული იმ ზღაპრებში, რომლების ოფიციალურად და სავალდეულოდაა მიღებული, როგორც სასწავლო მასალა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში, საჭიროებს შესაბამის კვლევას და ანალიზს, ვინაიდან მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ბავშვის აღზრდასა და პიროვნების პიროვნების პროცესში.

3.2.3 ჯ.რ.რ. ტოლკინის თეორია

ინგლისელი მწერალის ტოლკინის მოსაზრება(J.R.R.Tolkien,1988) ზღაპრების დანიშნულებაზე შეიძლება კონკრეტულ პუნქტებად წარმოვადგინოთ:

- ფანტაზიის განვითარება: *„ხელოვნების ამაღლებული და სუფთა ფორმაა, რომელსაც ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს“.- „ფანტაზია ადამიანის უფლებად რჩება: ჩვენ ჩვენი საზომით ვზომავთ და ჩვენი მასშტაბით წარმოვიდგენთ, რადგან ჩვენ ვართ ქმნილებები და არა უბრალოდ ქმნილებები, არამედ ქმნილებები, რომლებიც შემოქმედის მსგავსად ვართ შექმნილი“.* [J.R.R.Tolkien, 1988]
- საგნებისა და მოვლენების ახლებურად, სხვა რაკურსით დანახვა, რაც ხშირად გვინარჩუნებს ბავშვურობას.
- ჯადოსნურ ზღაპრებს გააჩნიათ უნარი, პრობლემისგან გაქცევა, თავის დაღწევა გვასწავლონ, ესეგი პრობლემის გადაჭრის გზების ჩვენება, რაც ბავშვს

თავის მხრივ ნებისყოფასა და ცხოვრების სირთულეების მიმართ მტკიცე დამოკიდებულებას ჩამოუყალიბებს.

- *„ბედნიერი დასასრული აუცილებელია ყველა ზღაპრისთვის და მისი ფუნქცია სავსებით ჩამოყალიბებულია ზღაპარში, ამ „სხვა სამყაროში“.* [J.R.R.Tolkien, 1988] კეთილი დასასრული მოულოდნელი და სასწაულებრივი მადლია. ეს ის სიხარულია, რომლის შექმნაც ზღაპრებში განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს. ბედნიერი დასასრულით გამოწვეული სიხახულის განცდა კი თავისთავად დადებითად იმოქმედებს ბავშვის ემოიურ განვითარებაზე.

ტოლკინი არ საუბრობს მაინცდამაინც ხალხურ ზღაპრებზე, მისი განხილვის ობიექტი ზოგადად ჯადოსნური ზღაპარია და მისი არსი. იგი არც პედაგოგიურ მოტივებზე ამახვილებს ყურადრებას, თუმცა ვინაიდან იგი ამბობს რომ *„ზღაპარი გვასწავლის“, „ზღაპარი მაგალითს გვაძლევს“,* ეს თავისთავად მეტყველებს მის აღმზრდელობით ღირებულებებზე.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოებაც, ისევე როგორც კრიდი,(L.F. Kready,1916) ტოლკინიც(J.R.R.Tolkien,1988) ყურადღებას ამახვილებს „სიხარულის“ განცდაზე, რომელსაც იწვევს ზღაპრის ბედნიერი დასასრული მსმენელში, ტოლკინი არ აკონკრეტებს, თუმცა კრიდის თეორიი გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, შეიძლება ამ გარემოებაზე პედაგოგიური ქვეტექსტი ვიგულისხმოთ. კერძოდ, თუ ზღაპრის დასასრულით გამოწვეული სიხარული ბავშვში ხელს უწყობს მის ემოციურ განვითარებას, უდაოა ეს აღმზრდელობით საკითხებთან იქნება დაკავშირებული, ვინაიდან ემოციური საკითხები ფსიქოლოგიას უკავშირდება, ფსიქოლოგია კი პირდაპირ ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესს. მაშასადამე, ტოლკინის თეორიას ჯადოსნურ ზღაპრებზე, თუნდაც პირდაპირი არა, მაგრამ ირიბად მაინც აქვს პედაგოგიური კონტექსტი.

დასკვნის სახით, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი; ზღაპრის შემეცნებითი და აღმზრდელობითი ღირებულება აღიარებულია, არა მარტო ქართულ სამეცნიერო სივრცეში არამედ უცხოურშიც, რისი ნათელი ნიმუშებიც უკვე განვიხილეთ.

შესაბამისად, დიდია იქნება მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში და მისი შესწავლა აქტუალური პედაგოგიურ-მეცნიერული თვალსაზრისით.

თავი IV. ოჯახის არსის განსაზღვრებისთვის

ოჯახის ფენომენის უკეთ გასაგებად, მისი როგორც მცნების განსაზღვრასთან ერთად მიზანშეწონილად და აუცილებლადაც კი მიმაჩნია უკვე კონკრეტულად განვიხილოთ მისი დანიშნულება. ოჯახის ფუნქციები როგორც ბავშვის, ისე დანარჩენი წევრების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ეპოქალურ ფორმაციებთან ერთად გარკვეული სახით იცვლებოდა ოჯახის ფუნქციებიც. ზოგი ფუნქცია შედარებით პრიორიტეტულად მიიჩნეოდა, ზოგიც კი - ნაკლებად. ოჯახში შვილის გაჩენა უდავოა მის აღმზრდელობით ფუნქციას გაცილებით მნიშვნელოვან ხდის, ვიდრე სხვა დანარჩენს.

ოჯახის, როგორც ფენომენის კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ხშირად სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ზოგიერთი მისი ფუნქცია ურთვიერთ იკვეთება კიდეც, მაგალითად; აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო, ან ეკონომიკური აღზრდა და ყოფითი ცხოვრების წესების შესწავლა, თუცმცა კვლევის სპეციპიკიდან გამომდინარე, აუცილენლად მიგვაჩნია გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისაგან, რადგან თითოეული უნიკალურია და თავისებური

4.1 ოჯახის ფუნქციები

ოჯახის ფუნქციების განსაზღვრა აუცილებელია, რათა მკვეთრად დავინახოთ კავშირი ოჯახურ აღზრდასა და პედაგოგიის მეცნიერებას შორის, ასევე იმის დასასაბუთებლად თუ რა მნიშვნელოვანია იგი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში, მიუხედავად იმისა იგი პირდაპირ იქნება მიმართული ბავშვზე თუ ირიბად, კერძოდ ზღაპრის საშუალებით.

სამეციერო ლიტერატურაში ოჯახის ფუნქციები შეიძლება რამდენიმე პუნქტად გამოვყოთ. (მ.წერეთელი, 2006)

- აღმზრდელობითი ფუნქცია.

- ყოფითი ფუნქცია.
- ემოციური ფუნქცია.
- პირველადი სოციალური კონტროლის ფუნქცია.
- სექსუალირი-ეროტიკული ფუნქცია.

ზოგი მეცნიერი ოჯახის „ფუნქციების“ თავისეულ კლასიფიკაციას გვთავაზობს, მაგალითად; ა.ნ. ელიზაროვი თავის ნაშრომში(А.Н.Елизаров,2003). ოჯახის ფუნქციების 12 პუნქტს გამოყოფს. რომელთაგან მოვიყვანთ მხოლოდ კვლევის თემიდან გამომდინარე ჩვენთვის მნიშვნელოვანს:

- შთამომავლობის გაჩენა და გამრავლება.
- ტრადიციული, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენახვა-გადაცემა მომავალი თაობისთვის.
- ადამიანის ფსიქოოგიური და ფიზიკური კონფორტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ემოციური მხარდაჭერა. პიროვნების მნიშვნელობისა და ღირებულების შეგრძნების ჩვენება. დამიანური სითბოსა და სიყვარულის გაზიარება.
- ოჯახის წევრებისთვის პიროვნული განვითარებისა და რეალიზაციისათვის საჭირო გარემოს უზრუნველყოფა.
- ადამიანებთან კომუნიკაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
- მამობრივი, დედობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ბავშვების აღზრდა და მათი თვითრეალიზაცია. სოციალიზაცია.
- ორგანიზაციული საქმიანობა, ოჯახის წევრების ფინანსური უზრუნველყოფა. რეკრეაციული ფუნქცია: ოჯახის წევრების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. (Елизаров, 2003).

მ.დ. მაცკოვსკი, ცნობილი რუსი ფსიქოლოგი (Мацковский,1989) და ოჯახის სოცილოოგიის სპეციალისტი „ფუნქციებში“ 10 პუნქტს გვთავაზობს.

- რეპროდუქციული.
- აღმზრდელობითი.
- ყოფითი, სამეურნეო.
- ეკონომიკური.

- სოციალური კონტროლი.
- სულიერი ურთიერთობები.
- სოციალური სტატუსი.
- პიროვნული.
- ემოციური.
- სექსუალური. (Мацковский,1989)

თუ ელიზაროვისა და მაცკოვსკის მიერ შემოთავაზებულ თეორიებს ერთმანეთს შევადარებთ, განსხვავების მაგივრად, დავინახავთ, რომ თითოეული ავსებს ერთმანეთს, რის შედეგად ვიღებთ თითქმის სრულყოფილ თეორიას „ოჯახის ფუნქციების“ შესახებ. რის საფუძველზეც შეგვიძლია განვსაზღვროთ ოჯახის, როგორც ფენომენის არსი და დანიშნილებაც.

ვითვალისწინებთ რა მოცემულ თეორიებს, საერთო ჯამში, მივდივარ შემდეგ დასკვნამდე; რომ თითოეული თეორია გადის პიროვნების ფორმირების პროცესზე, ესეგი პიროვნების აღზრდაზე. ოჯახის ფუნქციებისვის მისთვის დამახასიათებელია კომპლქსურობა, რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტულად ერთი მიმართულებით არ ზემოქმედებს აღსაზრდელზე, არამედ ერთდროულად, ეს კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის გლობალურ მნიშვნელობას. ცხადია, თუ ამ კუთხით შევხედავთ საკითხს, ზღაპრებში გადმოცემული ოჯახური აღზრდის მოდელები არანაკლებ აქტუალური საკითხი იქნება პიროვნების ფორმირების პროცესში.

4.2 ოჯახის პარამეტრები და ტიპები

4.2.1 პარამეტერბი

როგორც უკვე განვსაზღვრეთ, ოჯახი, მომავალი თაობის სოციალიზაციის მძლავრი ინსტრუმენტია. ის არის გარემო, სადაც ხდება მოზარდი თაობის ჩამოყალიბება, ხოლო თუ რა ხარისხის იქნება ოჯახში აღზრდილი ადამიანის პიროვნული თვისებები, დამოიდებულია კონკრეტული ოჯახის რიგ პარამეტრებზე.

ოჯახის პარამეტრების განსაზღვრისას ჩვენ დავეყრდნობით ა.ბ. მუდრიკის თეორიას. (А.В. Мудрик,2000)

პარამეტრებიდან შეიძლება გამოვყოთ:

- დემოგრაფიული ანუ ოჯახის სტრუქტურა და შემადგენლობა.
- სოციალურ-კულტურული, რაშიც იგულისხმება მშობელთა განათლების დონე და მათი საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხი.
- სოციალურ-ეკონომიკური ანუ ქონებრივი მდგომარეობა და სამუშაო ადგილი.
- ტექნიკურ-ჰიგიენური იგივე საყოფაცხოვრებო პირობები, ცხოვრების წესის თავისებურებები. (А.В. Мудрик,2000)

4.2.2 ოჯახის ტიპები

ოჯახის კლასიფიკაციის ერთ-ერთი პარამეტრია - ოჯახური მართვის (ხელმძღვანელობის) სტილი. ეს უკანასკნელი სპეციალურ ლიტერატურაში განისაზღვრება, როგორც მშობლების იმ ქმედების რაგვარობა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების სწორ გზაზე დაყენებას. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ოჯახი ოთხ ძირითად ტიპად (ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური და ინდიფერენტული) იყოფა. ეს კლასიფიკაცია ხორციელდება მშობლების შვილებისადმი გამოვლენილი კონტროლის და მათდამი გამოხატული სითბოს მიხედვით. მშობლების შვილებთან ურთიერთობისასპექტი უმნიშვნელოვანესია და ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში. (მ.წერეთელი,2006)

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

ინდიფერენტული ტიპის ოჯახში მშობელი გამოირჩევა შვილების მიმართ კონტროლის დაბალი დონით, მათდამი სითბოს ნაკლებობით და უგულისყურობით. ასეთი მშობლები თავიანთი შვილებისთვის არ ადგენენ თითქმის არანაირ შეზღუდვებს, რაც შესაძლოა მათი ყოველდღიური პრობლემებით და შვილების მიმართ არასაკმარისი ინტერესით არის განპირობებული.

ავტორიტეტული ტიპის ოჯახში მშობლები ახორციელებენ შვილებზე მაღალი დონის კონტროლს და ამავე დროს, მათთან აქვთ თბილი ურთიერთობები. ავტორიტეტული მშობლები ადგენენ თავიანთი შვილებისათვის შეზღუდვებს და მკაცრად იცავენ მათ მიერ შემუშავებულ წესებს, თუმცა ისინი უხსნიან თავიანთ შვილებს ამ შეზღუდვის მიზეზებს, რის გამოც მშობლის ქცევა შვილს არ ეჩვენება ძალისმიერად და უსამართლოდ. ავტორიტეტული მშობლების შვილებს აქვთ მაღალი თვითდარწმუნების დონე, მთლიანად აკონტროლებენ საკუთარ თავს, არიან სოციალურად კომპეტენტურები. მიღებულია, რომ ასეთი მშობლების შვილებს აქვთ მაღალი თვითშეფასება. მათ აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრების დონე

ლიბერალური ტიპის ოჯახის მშობლები ახორციელებენ შვილის მიმართ ნაკლებ კონტროლს (შეზღუდვებს) და აქვთ შვილის მიმართ საკმაოდ თბილი ურთიერთობები. ისინი თითქმის საერთოდ არ ზღუდავენ შვილის ქცევას და ავლენენ მათდამი ე.წ. „უპირობო სიყვარულს“, მაშინაც კი, როცა ლიბერალური მშობლები გაბრაზებულნი არიან თავიანთი შვილის ქცევით, ცდილობენ თავშეკავებას. მათ ახასიათებთ შვილებთან ღია, შეუზღუდავი ურთიერთობები.

ავტორიტარული ტიპის ოჯახებში მშობლები შვილებზე ახორციელებენ ძლიერ კონტროლს (ადგენენ მკაცრ მოთხოვნებს და მკაცრად მოითხოვენ მათ მიერ დადგენილი წესების შესრულებას), რასაც თან ერთვის შვილებთან მათი გულწრფელობის და სულიერი სიახლოვის თითქმის არასებობა და შესაბამისად, უფრო ცივი ურთიერთობები. ავტორიტარული მშობლები გაცემენ ბრძანებებს და მოელიან, რომ ეს ბრძანებები ზუსტად და უსიტყვოდ იქნება შესრულებული მათი შვილების მიერ. ასეთი მშობლების შვილები, ჩვეულებრივ, ჩაკეტილები, პასიურიები და ნერვიულები არიან. უმრავლეს შემთხვევებში, ისინი იმეორებენ მშობელთა მართვის სტილს თავის მომავალ ოჯახებში.

როგორც ვთქვით, ოჯახი საზოგადოების ბირთვია, უმნიშვნელოვანესი ფორმაა პირადი ყოფისა, რომელიც დაფუძნებულია ცოლ - ქმარის კავშირზე და ნათესავების ურთიერთობებზე ე.ი. ცოლის, ქმრის, მშობლების, შვილების, დების, ძმების და სხვა ნათესავების ურთიერთობებზე, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ერთ მეურნეობას ეწევიან. ოჯახი უდიდეს როლის თამაშობს, როგორც საზოგადოების, აგრეთვე,

ცალკეული პიროვნების ცხოვრებაში. მსოფლიოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 90% ცხოვრების ამ ფორმას - ოჯახი მიმართავს. (მ.წერეთელი,2006)

მაშასადამე, საყოველთაოდ მიღებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ოჯახის ოთხი ტიპოლოგია გვხვდება, თუმცა არანაკლებ საიტერესოა ცალკეული მკვლევრების მიერ გამოთქული თეორიები და მათ საფუძველზე შემოთავაზებული ტიპოლოგია.

კვლევის სპეციპიკიდან გამომდინარე, რომლის მიზანია ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელების კვლევა, ვფიქრობთ მოითხოვს ოჯახის, როგორც ფენომენის შეძლებისდაგვარად ყველა ასპექტში შესწავლას, ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ, ტოპოლოგიის განსაზღვრისას არ დავეყრდნოთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ თეორია, ამ მიზნით თეორიულ მასალაში შემოგვაქვს დამატებითი და ცოტა არ იყოს განსხვავებული თეორია ოჯახის ტიპოლოგიასთან დაკავშირებით.

ოჯახის ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა ს.ი. გოლოდმა თანამედროვე ოჯახის, მართვის სტილის მიხედვით, ოჯახის 3 ტიპი შემოგვთავაზა. (С. И. Голод, 1984) შევეცდებით თითოეული ტიპის არსი განვსაზღვროთ:

გოლოდის მიხედვით, **პატრიაქალური** ტიპის ოჯახია, რომლის სათავეში დგას მამაკაცი. ქმარი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით და გავლენით ბავშვებზე. მეცნიერის თეორიის მიხედვით, ასეთ ოჯახში ცოლი ითვლება ქმრის საკუთრებად და მისი უფლებები მაქსიმალურად დაკნინებულია. მამის საკუთრებად ითვლება ქალითვილიც, რომლის ქორწინების დაშუალებით „გაყიდვაც“ საშვებულია. ასეთ ოჯახებში ხშირად ცოლის მოყვანას „ქალის გამოსყიდვის“ ტერმინით მოიხსენიებენ.

პატრიარქალურ ოჯახის ტიპებში ქალი ვალდებულია სიცოცხლის ბოლომდე ერთი მამაკაცის საკუთრება იყოს, მაშინ როცა კაცზე მსგავსი კანონი არ ვრცელდება. ზოგიერთ კულტურაში დაფიქსირებულია ფაქტები, როცა გარდაცვლილ ქმარს ჯერ კიდევ ცოცხალ ცოლს აყოლებდნენ საფლავში. ასეთ ოჯახებში ქალს ეკრძალება განათლებისა და სახლის გარეთ მუშაობის უფლება. (С. И. Голод, 1984)

დეცენტრული ტიპის ოჯახი, მკვლევარის თეორიის მიხედვით, არის ის რომელშიც ყველა მოვალეობა თანაბრადაა გადანაწილებული მეუღლებს შორის. ცოლ-ქმრის ძირითადი საზრუნავი შვილების კეთილდღეობაა.პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დეცენტრალურ ოჯახში ფსიქლოგიურად დომინირებს ბავშვი და მისი

მოთხოვნილებები. ოჯახი არსებობს მხოლოდ ბავშვის ბედნიერებისთვის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთქმედება მიმართულია ქვევიდან ზევით. საბოლოო ჯამში კი ბავშვს უყალიბდება გადამეტებული წარმოდგენა საკუთარ თავზე და მესაკუთრეობის გრძნობა. როგორც ყოველთვის ასეთი პიროვნებები ხშირად განიცდიან დისკომფორტს საზოგადოებასთან ურთიერთობისას, რადგან უჭირთ განსხვავებული აზრის მოსმენა ან გაზიარება. საკმაოდ დიდია ასეთი ტიპის იჯახში გაზრდილი პიროვნების დეზორიენტაციის რისკი. (С. И. Голод, 1984)

დემოკრატიულ ტიპის ოჯახს გოლოდი უწოდებს ისეთს, რომელიც დაფუძნებულია მისი წევრების ურთიერთპატივისცემასა და პირადი ავტონომიის აღიარებაზე. აღმზრდელობითი ზემოქმედება ბავშვზე „ჰორიზონტალურია“, ანუ იგი მიმდინარეობს დიალოგის ფორმით მშობელსა და შვილს შორის. გათვალისწინებულია ბავშვის ინტერესები და რაც უფრო იზრდება ბავშვი, მით მეტის გათვაისწინება ხდება. დემოკრატიულ ოჯახში იზრდება თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც აცნობიერებს რა თავის მნიშვნელობას პატივს სცემს სხვის აზრსაც. (С. И. Голод, 1984)

ოჯახის, როგორც ფენომენის მრავალფუნქციონალურობის განსაზღვრის შემდეგ, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი და ოჯახური აღზრდა ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია ადამიანის პიროვნების პროცესში, შესაბამისად, დიდი ბევრი რამეა დამოკიდებული მის პარამეტრებსა და ტიპოლოგიაზეც. ასე რომ, ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ზემოთხსენებული სამივე ასპექტი, კერძოდ ოჯახის ფუნქციები, პარამეტრები და ტიპი.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

კვლევის თემიდან გამომდინარე, მიზნობრივი შერჩევით შეირჩა გრიფირებული (31.08.2018 წლის მდგომარეობით) საწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილი ქართული ხალხური ზღაპრები. სართო ჯამში სულ 5 გამომცემლობა; „დიოგენე“, „მერიდიანი“, „სწავლანი“, „არჩილ სულაკაური“ , „ტრიასი“და 14 სახელმძღვანელო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ გამომცემლობას არ აღმოაჩნდა სახელმძღვანელოთა სრული ნაკრები, ანუ პირველიდან მეექვსეს ჩათვლით. (სახელმძღვანელოები გამომცემლობისა და კლასების მიხედვით იხილეთ დანართში, ცხრილი #2).

მოცემული კვლევა ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი წარმოადგენს, დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში შეტანილი, ქართულ ხალხურ ზღაპრების ნარატივის ანალიზს. მეორე ნაწილი, კი ეთმობა ჩვენს მიერ შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტის საშუალებით, ამავე ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელების გამოვლენას.

კვლევის პირველი ნაწილი პასუხობს კითხვას იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რის შესახებაა ზღაპარი, რა არის მისი ძირითადი სათქმელი და რამდენადაა აღმზრდელობითი ღირებულების მატარებელი, გვხვდება თუ არა მასში ოჯახური აღზრდის ტრადიციები და შესაძლებელია თუ არა კონკრეტულ ზღაპარში ოჯახური აღზრდის მოდელების განსაზღვრა.

მეორე ნაწილი, კი პასუხობს კვლევის ძირითად კითხვას, უკვე კვლევის ინსტრუმენტზე დაყრდნობით, არის თუ არა კონკრეტულ ზღაპარში ოჯახური აღზრდის მოდელები.

მეთოდოლოგია, ისევე როგორც გამოყენებული ანლიზის ტექნიკები შერჩეულია კვლევის მიზნისა და სპეციპიკიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ჩვენ ვიკვლიოთ გვხვდება თუ არა ოჯახური აღზრდის მოდელები ქართულ ხალხურ ზღაპრებში, მიზნობრივად შერჩეულ სახელმძღვანელოებში.

ჩვენი კვლევის მიზანი არაა, კონრეტულად რაიმე მყარი მოცემულობის ან აზრის წარმოდგენა, რომელიც უარყოფს ალტერნატიულ მოსაზრებას, შესაბამისად, ჩვენს მიერ გაკეთებული აღმოჩენებიც არ იქნება ერთადერთი და უპირობო, თუმცა იქნება მცდელობა ჭეშმარიტებისაკენ გადადგმული ნაბიჯისა.

კვლევის პირველ ნაწილში გამოყენებული მეთოდოლოგია ნარატიული ანალიზია, მეორე ნაწილში, კი ტექსტების ანალიზი და აღქმა კოდირების პრინციპზეა დამყარებული, მიღებული შედეგები კი რაოდენობრივ მონაცემებზეა დაყვანილი.

ნარატიცის ანალიზის მეთოდმა, ჩვენ საშუალება მოგვცა ტექსტების უკეთ და სიღრმისეულად შესწავლისა, რამაც შემდგომში განაპირობა ტექსტის კოდირების გამარტივებაც. ნარატივის ანალიზის მეთოდი არ ზღუდავს მკვლევარს კონკრეტულ ჩარჩოები, მისი მთავარი ღირსება კი ისაა, რომ თვისობრივი კვლევისთვის ფართო ასპარეზს იძლევა, რის შედეგად უკვე მკვლევარს შეუძლია ძიების პროცესი კვლევის საჭიროემისამებრ წარმართოს. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კვლევა ფოკუსირებულია ტექსტებში ოჯახური აღზრდის მოდელების გამოვლენაზე.

კვლევის მეორე ნაწილი კოდირების მეთოდს ეყრდნობა. ტექსტის კოდირება ხდება კონკრეტული ინდიკატორების საშუალებით, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენს კვლევის ინსტრუმენტს.

შედეგების სანდოობისთვის, კვვლევის პირველ და მეორე ეტაპზე მიღებული შედეგები გადავაკოდირეთ რაოდენობრივ მონაცემებად და შევადარეთ ერთმანეთს. შედარებისთვის კი გამოვიყენეთ Spss პროგრამის ტესტი „კოენის კაპპა“, (k) რამაც რაშუალება მოგვცა დაგვენახა ორი სხვადასხვა კვლევის მეთოდით მიღებული შედეგები რამდენად ემთხვეოდა ერთმანეთს.

კვლევის ინსტრუმენტის განსაზღვრა.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოედგენს სპეციალურად შემუშავეული 5 ინდიკატორი, რომელთა მიზნობრივად შერჩეულ ტექსტში იდენტიფიცირების შემთხვევაში, ჩვენ საშუალება მოგვეცემა განვსაზღვროთ ოჯახური აღზრდის მოდელი ზღაპარში. თითოეული ინდიკატორი შემუშავებულია ნაშრომში განხილულ კონკრეტულ თეორიაზე დაყრდნობით. ინდიკატორთა დასახელება პირობითია.

1. პედაგოგიური მოტივები
2. დიდაქტიკური პრინციპები.
3. ცოდნა-გამოცდილების გადაცემის მეთოდები.
4. ოჯახის პარამეტრები.
5. ოჯახის ტიპი.

როგორც ვთქვით, წარმოდგენილი თითოეული ინდიკატორი ემყარება ნაშრომის თეორიულ ნაწილში განხილულ სამეცნიერო მასალას. მეტი სიცხადისთვის, შევეცდებით ყოველი მოკლედ განვიხილოთ და განვსაზღვროთ მისი ძირითადი არსი.

პედაგოგიური მოტივები.

პედაგოგიურ მოტივებში არსობრივად ვგულისხმობთ იმ ძირითად აღმზრდელობით მახასიათებლებს, რომლებზეც საუბარია შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენს შემთხვევაში სახელმძღვანელოდ მოყვანილია ან.ხითიბიძის (ან. ხინთიბიძე, 1976), კრიდის (L.F.Kready, 1916) და ტოლკინის (J.R.R.Tolkien, 1988) კვლევები და შედეგები:

პედაგოგიური ღირებულება, ტრადიციების გადაცემა, შრომისმოყვარეობის, სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების, ოპტიმიზმის, სამართლიანობის ჩვენება მსმენელისთვის (ან. ხინთიბიძე, 1976).

ბავშვში ყურადღების გამახვილება, დაკვირვება, ემოციური და წარმოსახვითი უნარების, ოჯახური და საერთოდ სოციალური ურთიერთობის უნარების განვითარება. (L.F.Kready, 1916).

ბედნიერი დასასრულით განცდილი სიხარულით ემოციური უნარების და ფანტაზიის განვითარება, ტოლკინისთვის ზღაპრის ერთ-ერთი მთავარი ღირსება და თავისებურებაა. (J.R.R.Tolkien,1988).

მაშასადემე, პირველი ინდიკატორი, „პედაგოგიური მოტივები“ დამყარებულია სამ მნიშვნელოვან კვლევასა და თეორიაზე და მოიცავს ყველა იმ პედაგოგიურ მოტივს, რომელიც აღმოაჩინეს ამავე კვლევების საფუძველზე.

დიდაქტიკური პრინციპები.

დიდაქტიკურ პრინციპებში ნაგულისხმებია ან. ხინთიბიძის (ან.ხინთიბიძე, 1976) მიერ შემოთავაზებული 7 დიდაქტიკური პრინციპი, რომელიც გვხვდება ფოლკლორულ ნაწარმოებებში და შესაბამისად ზღაპრებშიც. ესეგი მეორე ინდიკატორი ემყარება ერთ თეორიას, ან. ხინთიბიძის კვლევას და მოიცავს ყველა იმ შვიდ დიდაქტიკურ პრინციპს, რომელიც ამავე კვლევის საფუძველზე იქნა აღმოჩენილი. თვალსაჩინოებისთვის მათ კიდევ ერთხელ დავასახელებთ:

- შეგნებულობის პრინციპი,
- თვალსაჩინოების პრინციპი,
- თანმიმევრობის პრინიპი,
- ცოდნის განმტკიების პრინიპი,
- მისაწვდომლობის პრინციპი,
- ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი,
- სწავლების შინაარსი.

მეორე ინდიკატორის, დიდაქტიკური პრინციპების“ განსაზღვრისთვის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია რომელიმე პრინციპი არ ფიქსირდებოდეს ზღაპარში.

სწავლა-გამოცდილების გადაცემის მეთოდები.

ისევე, როგორც წინა ინდიკატორი, ეს უკანასკნელიც ხინთიბიძის (ან. ხინთიბიძე, 1976) თეორიას ეყრდნობა და არსობრივად იგივეს გულისხმობს, ოღონდ უკვე კონკრეტულად ზღაპრებში. ესეგი „სწავლა-სწავლების გადაცემის მეთოდით“ კოდირდება ზღაპარში თხრობისა და ახსნის საშუალებით გადმოცემული სწავლება, ან იგივე კითხვა-პასუხით გადმოცემული სწავლება.

ოჯახის პარამეტრები.

როგორც ვიცით, ოჯახში აღზრდილი ბავშვის პიროვნული თვისებები დამოკიდებულია ოჯახის მახასიათებლებზე, იგივე პარამეტრებზე. მაშასადამე,

ოჯახური აღზრდის მოდელის განსაზღვრისთვის ა.ბ. მუდრიკის (А.В.Мудрик, 2000) მიერ შემოთავაზებული პარამეტრები აუცილებელი პირობაა. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკრეტული ინდიკატორის განსაზღვისთვის აუცილებელია მინიმუმ ერთი პარამეტრული მახასიათებელი იკითხებოდეს ზღაპარში.

ოჯახის ტიპი.

ოჯახის ტიპში იგულისხმება ოჯახური მართვის (ხელმძღვანელობის) სტილი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განისაზღვრება, როგორც მშობელთა ქმედების რაგვარობა შვილის აღმზრდელობით პროცესში. ამ კონკრეტული ინდიკატორის განსაზღვრისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ ორი სხვასასხვა წყაროს გაერთიანება, პირველი წყარო გვთავაზობს 4 ტიპს ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური და ინდიფერენტული, (მ. წერეთელი, 2006), ხოლო მეორე წყარო ეყრდნობა ს.ი. გოლოდის ოჯახის მართვის 3 სტილის თეორიას.(С. И. Голод, 1984) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი არ გამორიხავს მეორეს, პირიქით, ისინი ავსებენ ერთმანეთს, რაც მათი ურთიერთშერწყმის მცდელობის ძირითადი მოტივი გახდა.

ნარატიული ანალიზი.

ნარატიული ანალიზითვის შეირჩა სულ 22 ზღაპარი. კვლევის პროცესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებებიც;

ორ სხვადასხვა გამოცემის სახელმძღვანელოში, კერძოდ „სულაკაურის“ IV კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი ზღაპარი „ოქროსტარიანი ცული“ შინაარსით ემთხვევა „მერიდიანის“ II კლასის სახელმძღვანელოში შეტანილ ზღაპარს დასახელებით „პატიოსანი ხის მჭრელი“. აქედან გაომდინარე ნარატიული ანალიზი მოცემულია 21 ზღაპრის 22 ნაცვლად, რათა თავი აგვერიდებინა გამეორებისვის.

მეორე, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს გამომცემლობა „ტრიასის“ IV კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი ზღაპარი „ქალამზე“ არაა სრულად მოცემული, ისევე როგორც „სულაკაურის“ IV კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი „წიქარა“, რამაც ნარატუილი ანალიზისას ერთგვარი სპეციფიური მიდგომა მოითხოვა.

მაშასადამე, ნარატიული ანალიზით დამუშავდა სულ 21 ზღაპარი გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით.

„ორი ძმა“

„ორი ძმა“, ეს არის ერთ-ერთი ცნობილი ქართული, ხალხური ზღაპარი. მასში გადმოცემულია ორი ძმის ერთობ უცნაური ისტორია.

ქართული ზღაპრების ტრადიციული კლასიპიკაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ორი ძმა“, საყოფახოვრებო ჟანრს მიეკუთვნება.(კიკნაძე, 2007). ზღაპრისთვის დამახასიათებელია ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი მოვლენები და პრობლემები, მაგალითად; ქორწილი, ლხინი, გაჭირვება. საყოფაცხორებო ზღაპრებში ხშირია პერსონაჟებს შორის კონფლკტი, რომელიც ძირითადად ისევ და ისევ საყოფაცხოვრებო, მატერიალურ საკითხებს ეხება. ზღაპარში „ორი ძმა“ სწორედ ასეთი სიუჟეტია გადმოემული.

„ორი ძმა“, ესაა ზღაპარი დედმამიშვილებზე, რომლებიდანაც ერთი მდიდარია, მეორე კი ღარიბ-ღატაკი. ასეთი სოციალური დიფერენცია კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მის საყოფაცხოვრებო თემატიკაზე, თუმცა აქვე იკვეთება კიდევ ერთი გარემოება, ზღაპარი შეიცავს გარკვეულ ჯადოსნურობის ელემენტებსაც, ანუ ისეთ მომენტებს, რომელიც შორსაა რეალობასთან და ადამიანის ფანტაზიის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.

ზღაპრის პერსონაჟების „სიღარიბესთან“, როგორც ხორცშესხმულ ადამიანთან საუბარი, ზღაპარს უჩვეულო იერსახეს სძენს. აღნიშნული გარემოებას ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივყავართ, რომ ზღაპარი „ორი ძმა“, ე.წ შერეული ტიპის ზღაპრად შეიძლება მივიჩნიოთ. (Н.С. Бибко,1990)

საყოფაცხოვრებო პრობლემების გვერდით, ზღაპარში იკვეთება ოჯახური ურთიერთობებიც. აქ ჩვენ ვხედავთ დედმამიშვილებს შორის რადიკალურად განსხვავებულ დამოკიდებულებას; მაშინ როდესაც ერთი ძმა მეორეს უკადრისობს სიღარიბის გამო და მისი კეთილდღეობაც კი შურით ავსებს, მეორე ძმა მზრუნველობითა და მორიდებითაა მის მიმართ განწყობილი. ეს კარგად ჩანს მათსავე ქცევაში. მდიდარმა არც კი იკადრა ღარიბი ოჯახის ქორწილზე მიეპატიჟა, „ ეთაკოლებოდა, ქალამნებიანი და დაკონკილჩოხიანი გვერდით როგორ მოვისვაო?“,

ხოლო როცა კი გაიგო მისი გამდიდრება ბოღმისაგან კინაღავ გადაირია, „ გაბოროტდა მდიდარი ძმა, შურისაგან ბოღმა ჩაუვარდა გულში“.

ღარიბი ძმა, მიუხედავად თავისი მძიმე მდგომარეობისა, მაინც მზრუნველობით შესცქერის დედმამიშვილს და მის მიმართ შურსაც არ ივლებს გულში, პირიქით ისევ მის კეთილდღეობაზე ფიქრობს. *„მოდი ჩემს ძმას ნუ დავამცირებო“.*

ჩვენი აზრით, ოჯახური ურთიერთობის ასეთი კონტრასტული სახეების წარმოდგენით, ზღაპარი იძენს ერთგვარ აღმზრდელობით ფუნქციას და მკითხველს აჩვენებს ერთის მეორეზე უპირატესობებს, ზღაპრის ბოლოს განვითარებული მოვლენები კი ერთი ორად ამძაფრებს მის პედაგოგიურ ღირებულებას. შუარიანი ძმა სამართლიანად ისჯება. „ასე ემართება ყველა ბოროტსა და შურიან ადამიანს“.

უდავოა, ზღაპარი „ორი ძმა“ პედაგოგიური ღირებულებისაა, იგი გვასწავლის თავმდაბლობას, დედმამიშვილის სიყვარულსა და სამართლიანობას. ძირითადი პერსონაჟები ძმები არიან, მაშასადამე, ოჯახური ურთიერთობის მოტივები გვხვდება ზღაპარში, მაგრამ ოჯახური აღზრდის ტიპის ნიშნებს ვერ ვხვდებით. შესაბამისად ოჯახური აღზრდის მოდელის განსაზღვრაც ვერ მოხდება, ჩვენ მიერ შემუშავებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზღაპარი „ორი ძმა“, შერეული ტიპის ზღაპარია, რომელშიც ვხვდებით საყოფაცხოვრებო პრობლემებს, ყოველდღიური ცხოვრებისაგან უჩვეულო ელემენტებით. ესაა ზღაპარი, რომელიც ნაჩვენებია ოჯახური ურთიერთობები, ძმებს შორის განვითარებული ამბის მაგალითზე, თუმცაღა, მიუხედავად, ამისა შეუძლებელია დანამდვილებით იმის თქმა, რომ ზღაპარში ვხვდებით ოჯახური აღზრდის მოდელებს.

„სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი“

ზღაპარი „სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი“ მოგვითხრობს ებრაელთა ლეგენდარულ მეფე სოლომონისა და ერთ მოხუცი ბერიკაცის შეხვედრის ამბავზე. ჟანრობრივი თვალსზრისით, იგი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ყოფითი ცხოვრების

გამომხატველი, (საყოფაცხოვრებო ნოველა), (ზ.კიკნაძე, 2007) აქ არ გვხვდება არც ჯადოსნური და არც ცხოველების შესახებ ზღაპრების დამახასიათებელი ნიშნები.

სტრუქტურულად ზღაპარი ძირითადად ორი დიალოგისაგან შედგება; პირველი სოლომონსა და ბერიკაცის შორის დიალოგი საკმაოდ საინტერესო და უჩვეულო შინაარსისაა, რაც ალეგორიული მხატვრული სტილის ხშირ გამოყენებაში გამოიხატება. „- ორზე როგორა ხარ? - ჰკითხა სოლომონმა.“ – „უკვე დავსამდი, - უპასუხა სოლომონმა“.

ზღაპრის დასასრულს ხდება ერთგვარი კვანძის გახსნა და ერთგვარი იგავური დიალოგის განმარტება, რაც ნაწარმოებს ერთობ პედაგოგიურ ღირებულებას სძენს. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარი საყოფაცხოვრებო ჟანრის ნაწარმოებად შეიძლება მივიჩიოთ, მაინც არ ვხვდებით ოჯახურ თემატიკას და მითუმეტეს ოჯახური აღზრდი მოტივებს.

დასკვნის დახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზღაპარი „სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი“ იგავური მეტყველების შემცველი ზღაპარია, დატვირთული პედაგოგიური მოტივებით, თუმცა ოჯახური აღზრდის მოდელები მასში არ გვხვდება.

„კურდღელი, მელია, მგელი და დათვი“

ქართული ხალხური ზღაპარი „კურდღელი, მელია, მგელი და დათვი“, მოგვითხრობს სახალისო ამბავს, რომელიც გადახდათ მის გმირებს, კურდღელს, მელიას, მგელს და დათვს. ნაწარმოები ჟანრობრივად მიეკუთვნება ზღაპარს ხცოველებზე, რაც ცალსახად ჩანს მისი შინაარსისა და სათაურიდან გამომდინარეც. (ზ.კიკნაძე, 2007).

სტრუქტურული თვალსაზრისით ზღაპარს ახასიათებს ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებული ზემოქმედების ხშირი გამეორება, რაც გარკვეულ სიძნელეს სძენს მის დამახსოვრებასა და აღქმას, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ხალხი ამ ფრაზების სისტემატური გამეორებით ცდილობს ბავშვის (ზღაპრის ადრესატის) დამახსოვრების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე

პედაგოგიურ მოტივეს ვხედავთ, კერძოდ კი ცოდნის განმტკიცების დიდაქტიკურ პრინციპს. (ან. ხინთიბიძე, 1976)

ზღაპრის „კურდღელი, მელია, მგელი და დათვი“, შინაარსი პედაგოგიური ღურებულებასთან ერთად საკმაოდ სახალისოცაა და მის დასასრულს მკითხველი შესაბამის ემოციებს განიცდის. დადებითი ემოციების გამომწვევი ზღაპრები კი ხელს უწყობს ბავშვის ფსიქოლოგიურ და ემოციურ განვითარებას. (L. F. Kready, 1916)

რაც შეეხება ოჯახური აღზრდის მოტივებს აღნიშნულ ზღაპარში არ ვხდებით, შესაბამისად არც ოჯახური აღზრდის მოდელებს. ასე რომ, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ზღაპარი „კურდღელი, მელია, მგელი და დათვი“, პედაგოგიური ღირებულების მატარებელია, თუმცა მასში არ იძებნება ოჯახური აღზრდის მოდელები, რაც შეიძლება აიხსნა ნაწარმოების შინაარსობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე.

“რწყილი და ჭიანჭველა“

„რწყილი და ჭიანჭველა“ ყველასათვის ცნობილი ქართული ხალხური ზღაპარია. იგი მოგვითხრობს ორ საუკეთესო მეგობარზე, რწყილზე და ჭიანჭველაზე, თუ როგორ დაეხმარა ერთგული მეგობარი, რწყილი გასაჭირში ჩავარდნილ ჭიანჭველას. ჟანრობრივი თვალსაზრისით უდაოა ნაწარმოები „ხცოველთა ზღაპრებს“ მიეკუთვნება. (ზ. კიკნაძე, 2007)

სტრუქტურული თვალსაზრისით ზღაპარს ახასიათებს ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებული ზემოქმედების ხშირი გამეორება, ასევე გარითმული ფრაზები, რაც გარკვეულ სიძნელეს სძენს მის დამახსოვრებასა და აღქმას, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ხალხი ამ ფრაზების სისტემატური გამეორებით ცდილობს ბავშვის (ზღაპრის ადრესატის) დამახსოვრების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე პედაგოგიურ მოტივეს ვხედავთ, კერძოდ კი ცოდნის განმტკიცების დიდაქტიკურ პრინციპს. (ან.ხინთიბიძე, 1976)

აღმზრდელობითი ხასიათისაა თავად ზღაპრის არსიც. რწყილისა და ჭიანჭველას მაგალითზე ის იძლევა ნამდვილი მეგობრის განსაზღვრებას. კერძოდ; ნამდვილი

მეგობარია ის ვინც განსაცდელში არ ტოვებს მოყვასს. ესეგი ნაწარმოები გვასწავლის ერთგულებასა და მეგობრობას.

მიუხედავად, იმისა რომ ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ სავსებით სამართლიანად შეიძლება ვაღიაროთ მაღალ პედაგოგიურ ღირებულების ნაწარმოებად, ჩვენ არ ვხვდებით აქ ოჯახური აღზრდის მოტივებს, რაც ლოგიკურიცაა, ვინაიდან ზღაპრის შინაარსი არ ეხება ოჯახურ თემებს. მაშასადამე ზღაპარში „რწყილი და ჭიანჭველა“ არ იძებნება ოჯახური აღზრდის მოდელები.

„მებადურის შვილი“

ქართული ხალხური ზღაპარი „მებადურის შვილი“ მოგვითხრობს ერთ ჭაბუკზე, რომელმაც ძალიან ბევრი წინააღმდეგობა გადალახა, რომ მიზნისათვს მიეღწია. დაბრკოლებების გადალახვას მებადურის შვილი ახერხებს სწორედ იმ მეგობრების დახმარებით ვისაც თავის დროზე თავად დაეხმარა ის. მაგალითად თევზი, რომელიც შეეცოდა და გაუშვა, წერო, რომელიც არივისაგან გადაარჩინა და მელია, რომელიც მწევრებისაგან იხსნა.

ჟანრობრივი თვალსაზრისით, ზღაპარი შეიძლება „ჯადოსნური ზღაპრის“ჯგუფს მივაკუთნოთ(ზ.კიკნაძე, 2007). ნაწარმოებში დატვირთულია ჯდოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, მაგალითად, როცა ცხოველები ელაპარაკებიან ვაჟს, მეფის ასულს აქვს ჯადოსნური სარკე, რომლითაც ყველაფერს ხედავს და სხვა.

ზღაპრის პედაგოგიურ ღირებულებაზე საუბრისას, უნდა ითქვას, რომ იგი გვასწავლის მოწყალებას, მეგობრობას, წინააღმდეგობების მიმართ შეუპოვარ დამოკიდებულებას.(მ.ჩიქოვანი, 1975)

ოჯახური ურთიერთობის ამსახველ ფაქტებს ზღაპარში ვხვდევით, მაგალითად, როცა ვაჟს მამა გაუჯავრდა ურჩობისთვის, რაც მისი წასვლის მიზეზი გახდა. ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც მინიშნება იმაზე, რომ მშობლებს უნდა დავუჯეროთ ხოლმე. აქ შეიძლება ოჯახის ავტორიტეტული ტიპი წარმოვიდგინოთ. (მ.წერეთელი,2006) მშობლებთან, ურთიერთობის განსხვავებული ვერსიაა წარმოდგენილი პრინცესასა და მის ოჯახ შორის. აქ შინაარსიდან გამომდინარე ჩანს,

რომ ოჯახი პატივს სცემს ქალიშვილის გადაწყვეტილებას დაოჯახების საკითხში. შესაბამისად ასეთ ოჯახურ რთიერთობებს ლიბერალური ტიპის ვუწოდოთ. (მ.წერეთელი, 2006).

დასკვის სახით, შეიძლება ზღაპარი „მებადურის შვილი“ შევაფასოთ, როგორც პედაგოგიური ღირებულების ნაწარმოები, რომელშიც ასევე ვხვდებით ოჯახური აღზრდის მეთოდებსაც, შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია მათზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ ოჯახური აღზრდის მოდელებზეც.

„ჭინჭრაქა“

„ჭინჭრაქა“ ყველასათვის ცნობილი ზღაპარია, რომელიც სამი ძმიდან უმცროსის ჭინჭრაქას საინტერესო თავგადასავალზე მოგვითხრობს. მას შემდეგ, რაც ღარიბ ცხოვრებას მოძულებული ძმები საშოვარზე წავიდნენ და მეფეს გაუდგნენ მოჯამაგირედ, ჭინჭრაქა დგება სხვადასხვა დავალებების ადრესატი, რომელსა მეფე უყენებს. ეს დავალებები კი დევისათვის სხვადასხვა ჯადოსნური ნივთების მოპარვით შემოიფარგლება. ზღაპრის მთავარ გმირს უწევს ჭკუისა და მოხერხებულობის გამოყენება მეფის ფრძანებების შესასრულებად.

თუ გავითვალისწინებთ, იმას რომ ზღაპრის პერსონაჟები არიან არარეალური არსებები და დაჯილდოვებულები მაგიური თვისებებით, მაგალითად „დევი“, „მოლაპარაკე ოქროს ფანდური“ და აშ. ნაწარმოებს ჟანრობრივად „ჯადოსნურ ზღაპართა“ რიგებს მივაკუთვნებთ. (ზ. კიკნაძე, 2007)

ზღაპარი „ჭინჭრაქა“, არა მარტო საინტერესო და სახალისო ამბის გადმომცემია, არამედ საკმაოდ მაღალი აღმზრდელობითი ღირებულების მატარებელი. იგი მთავარი გმირის მაგალითზე გვასწავლის მოხერხებულობას და გვიჩვენებს, რომ სირთულეები არ არსებობს თუ ადამიანი ჭკუით მიუდგება მათ. ასევე ზღაპრის დასაწყისში, საინტერესოა როგორ დამოკიდებულებას ავლენენ ძმები გაჭირვების მიმართ, ისინი არ ეგუებიან მას და მიდიან ლუკმა-პურის საშოვარზე, ამისთვის არც შრომას თაკილობენ და მეფეს უდგებიან მოჯაგირედ. და ბოლოს ზღაპრის ფინალი იწვევს სამართლიანობის

განცდას და სიხარულს მისი დაფასებით. რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც პედაგოგიური მოტივი. (J.R.R.Tolkien, 1988)

რაც შეეხება, ოჯახური აღზრდის მოტივებს ზღაპარში, შინაარსზე დაყრდნობით ძნელია ითქვას, რომ აქ ვხვდებით ოჯახური აღზრდის ტრადიციებს, ჭინჭრაქას ძმების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება კი ჩანს ზღაპრის ბოლოს, მაგრამ ეს არაა საკმარისი ოჯახური ურთიერთობების ან თუნდაც ოჯახის ტიპის განსაზღვრისთვის.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზღაპარი „ჭინჭრაქა“ საკმაოდ მაღალი აღმზრდელობითი ღირებულების მატარებელია, თუმცა ოჯახური აღზრდის მოტივები და შესაბამისად ოჯახური აღძრდის მოდელები მასში არ გვხვდება.

“ორი ძმა“

ზღაპარი „ორი ძმა“ აფხაზური წარმომავლობისა, იგი მოგითხრობს ორი ძმის ამბავს, რომლებმაც სიხარბის გამო მამის დანატოვარი ქონება ვერ გაიყვეს და ამისთვის სათანადოთაც დაისაჯნენ.

ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე, იგი შეიძლება საყოფაცხოვრებო ჟანრის ზღაპრებს მივაკუთნოთ, თუცა აქ გვხვდება ჯადოსნური ნივთებიც, მაგალითად მამის დანატოვარი მფრინავი ხალიჩა. ნ.ს. ბიბკო თეორიის მიხედვით, ზღაპრები, რომლებშიც ვხვდებით საყოფაცხოვრებო თემასთან ერთად არარეალურ, ჯადოსნური თვისებების ნივთებს ან პერსონაჟებს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც შერეული, ან გარდამავალი ტიპის ზღაპარი. (Н.С.Бибко, 1990)

ზღაპარი საკმაოდ პატარა ტანისაა, თუმცა აღმზრდელობითი მოტივებით მაქსიმალურად დატვირთული. ძმების მაგალითზე ზღაპარი გვიჩვენებს, თუ როგორი დამოკიდებულება არ უნდა იყოს დედმამიშვილებს შორის და როგორ ისჯება იგი. გარდა ამისა, ზღაპრის ძირითადი მორალი სიხარბის გმობაა, რომელიც ხშირად ხდება ხოლმე ადამიანებს შორის განხეთქილების მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარი დედმამიშვილების ისტორიაზეა დამყარებული, რთულია მასში ოჯახური აღზრდის მოტივების გამოკვეთა და შესაბამისად ოჯახური აღზრდის მოდელებისაც. თუ საკითხს ისე შევხედავთ, რომ

ნაწარმოები გვიჩვენებს, როგორი არ უნდა იყოს ძმებს შორის დამოკიდებულება და ამ ხერხით აღწევს აღმზრდელობით მიზნებს, მაინც დანამდვილებით ვერ მოვახდენთ მასში კონკრეტულ ოჯახური აღზრდის მოდელის იდენტიფიცირებას ერთი მიზეზის გამო, ზღაპარში ფიზიკურად არაა მისი ამსახველი ფაქტები.

მაშასადამე ზღაპარი „ორი ძმა“აღმზრდელობითი ღირებულების მატარებელია, თუმცა მასში არ გვხვდება ოჯახური აღზრდის მოტივები.

„ქალთამზე“

ზღაპარი „ქალთამზე“ მოგვითხრობს ამბავს ულამაზეს მეფის ასულზე, რომელსაც თავისი სილამაზის გამო ეწოდა ქალთამზე. როცა დედის გარდაცვალების შემდეგ, ხელმწიფემ მეორე ცოლი მოიყვანა, დედინაცვალმა ვერ აიტანა გერის სილამაზე და სამუდამოდ შეიძულა. ჯერ სასახლიდან გააგდებინა, შემდეგ კი მის მოკვლასაც შეეცადა.

ზღაპარში „ქალთამზე“ ჯადოსნური ზღაპრების ჟანრს მიეკუთვნება, ვინაიდან მასში გვხვდება მაგიური და ჯადოსნური ნივთები, როგორიცაა მაგალითად მოლაპარაკე სარკე. (ზ.კიკნაძე, 2007).

სტრუქტურული თვალსაზრისით ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებული ზემოქმედების ხშირი გამეორებაც, ასევე გარითმული ფრაზები, რაც გარკვეულ სიძნელეს სძენს მის დამახსოვრებასა და აღქმას, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ხალხი ამ ფრაზების სისტემატური გამეორებით ცდილობს ბავშვის (ზღაპრის ადრესატის) დამახსოვრების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე პედაგოგიურ მოტივებთან გვაქვს საქმე, კერძოდ კი ცოდნის განმტკიცების დიდაქტიკურ პრინციპს. (ან.ხინთიბიძე, 1976)

აღმზრდელობითი მოტივები შეიძლება ამოვიკითხოთ „ქალთამზესა“ და ძმებს შორის ურთიერთობის აღწერაშიც, რომელიც ბედნიერების საწინდარადაც კი არის წარმოდგენილი. *„პატივმა და კარგად ყოფნამ ქალი უფრო გაალამაზა და ნამდვილ ტყის ფერიას დაამგვანა. ოკლედ რომ ვთქვათ, იმაზე ბედნიერი ქალი ქვეყნად აღარ იყო“.* ამ ხერხით ზღაპარი უჩვენებს ადრესატს (ბავშვს) თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ოჯახის წევრებს შორის მზრუნველ და კარგ დამოკიდებულებას. შესაბაისად, შესაძლებელია

ვიფიქროთ, რომ ზღაპარში გვხვდება ოჯახური აღზრდის მოტივები, ხოლო თუ განვსაზღვრავთ ამ მოტივის მიზანსა და მეთოდებს, შეიძლება იგი დავახასიათოთ როგორც დემოკრატიული ტიპის ოჯახი. (С. И. Голод, 1984).

ტექნიკური-ჰიგიენური, საყოფაცხოვრებო წესის თავისებურებების მხრივ „ქალთამზეს“ ქცევა ოჯახურ გარემოში არანაკლებ აღმზრდელობითი ღირებულების მატარებელია ზღაპარში. (А.В. Мудрик , 2000). ზღაპრის გმირი გვიჩვენებს მაგალითს თუ როგორ უნდა იქცეოდეს მანდილოსანი, როგორ უნდა იცავდეს ის სისუფთავესა და სასიამოვნო გარემოს ოჯახში.

მნიშვნელოვანი დამრიგებლოითი ხასიათის მქონეა „ქალთამზეს“ მოწამვლის შემთხვევა, რისი მიზეზიც უცხო ადამიანის მიმართ ზედმეტი მინდობით შეიძლება აიხსნას. ასეთი მაგალითის ჩვენებით, ზღაპარი შთააგონებს მკითხველს, რომ უცხოების ნდობა არ შეიძლება და ყოველთვის სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

მაშასადამე, ზღაპარი „ქალთამზე“ სკმაოდ მაღალი აღმზრდელობითი ღურებულების მქონე ნაწარმოებია, ანალიზის საფუძველზე ჩვენ ასევე შევძელით ოჯახური აღზრდის მოტივების გამოკვეთა და მათზე დაყრდნობით ოჯახური აღზრდის მოდელის იდენტიფიცირება. თუმცა გასათვალისწინებელი კიდევ ერთი გარემოება, სახელმძღვანეოში ნაწარმოები სრული სახით არაა გადმოცემული და შესაბამისად ნარატივის ანალიზმაც სრულყოფილ სახეს ვერ მიიღო.

„ყველაზე ძვირფასი ნაყოფი“

ზღაპარი „ყველაზე ძვირფასი ნაყოფი“ მოგითხრობს ამბავს მეფესა და მის სამ ვაჟზე. ზღაპრის მიხედვით, მეფე თავის ვაჟებს მისცემს თითო ქისა ოქროს და ყველაზე ძვირფასი ნაყოფის მოტანას დაავალებს. გადის წლები და შინ დაბრუნებული შვილები მორიგეობით სთავაზობენ მამას ყველაზე ტკბილ ნაყოფს. პირველმა ძმამ ყურძენი შესთავაზა, მეორემაც ხილი მიარვა, ოღონს უცხო ქვეყნიდან ჩამოტანილი, ხოლო მესამემ კი თავისი ცოდნა, რომელიც მამის მიცემული ოქროთი მოიპოვა. ზღაპრის დასასრულს კი ირკვევა, რომ მამას სინამდვილეში ყველაზე ტკბილი ნაყოფი უნდოდა

არა პირდაპირი გაგებით, არამედ ნაყოფი, ანუ შედეგი შრომისა, რომელაც ტკბილად მოიხმარ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ჟანრული თვალსაზრისით, ზღაპარი საყოფაცხოვრებოს შეიძლება მივაკუთვნოთ. (ზ.კიკნაძე, 2007). მასში არ ჩანს არც ცხოველების თემატიკა და არც ჯადოსნურის შემცველი ელემენტები. ნაწარმოებში მამისა და შვილების ისტორიაა გადმოცემული, ესეგი ოჯახური ურთიერთობების ამსახველია და მაშასადამე ოჯახური აღზრდის მოტივებიც ჩანს, რომელთა საფუძველზეც შეგვეძლება ვიმსჯელოთ ოჯახური აღზრდის მოდელის არსებობაზე.

ნაწარმოებში ოჯახური ურიერთობებია გადმოცემული. ჩვენ კარგად ვხედავთ მამის დამოკიდებულებას შვილების მიმართ და ამასთან მის აღმზრდელობით მეთოდებსა და მიზნებს. დამოკიდებულების მხრივ შეიძლება მშობლის ურთიერთობა შვილებთან დავახასიათოდ, როგორც დემოკრატიული ტიპის. (С. И. Голод , 1984) ხოლო მეთოდების მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი ცდილობს შვილებს ცოდნა შემატოს ემპირიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც პედაგოგიური თვალსაზრისით აღიარებული მეთოდია.

მაშასადამე, ზღაპარი „ყველაზე ტკბილი ნაყოფი“ მაღალი პედაგოგიური ღირებულების ზღაპარია, რომელიც გადმოგვცემს მთავარ სათქმელს ოჯახური აღზრდის მოტივებზე დაყრდნობით, კერძოდ კი მეფისა და სამი ვაჟის მაგალითზე. აქედან გამომდინარე ნაწარმოებში ოჯახური აღზრდის მოდელებზე მსჯელობაც სავსებით შესაძლებელია. ზღაპრის მთავარი სათქმელი კი ერთია, ცოდნაზე ტკბილი ნაყოფი არაფერს არ გამოაქვს ადამიანის ცხოვრებაში.

„პატიოსანი ხის მჭრელი“

ზღაპარი, „პარიოსანი ხის მჭრელი“ მოგვითხრობს ერთ ხის მჭრელ კაცზე, რომელსაც უნაური ისტორია გადახდა ტყეში. მას შემდეგ, რაც ერთადერთი ცული დაეკარგა, რომლითაც შრომობდა და ოჯახს ასე არჩენდა, დარდს მიეცა. დადარდიანებულს კი უცებ ფერია გამოეცხადა და რადენჯერმე ჯერ ოქროს, შემდეგ ვერცხლის ცული შესთავაზა, თუმცა ხის ჭრელი პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა და

მხოლოდ თავისი ცული გამოართვა, რისთვისაც ჯეროვნად დასაჩუქრდა. იგივე ძღვენის სურვილით შრპყრობილმა მეზობელმაც ცადა მიეღო იგი, თუმცა სიხარბისა დ ტყუილის გამო საკადრისად დაისაჯა და თავისი სულიც დაკარგა.

ჟანრობრივად ნაწარმოები უნდა განვიხილოთ, როგორც შერეული ტიპის, იქიდან გამომდინარე, რომ მასში ცანს როგორც საყოფაცხორებო პრობლემების ამსახველი მოვლენები ისე ჯადოსნური პერსონაჟები.(Н.С. Бибко,1990)

პედაგოგიური თვალსაზრისით ზღაპარი „პატიოსანი ხის მჭრელი“ საკმაოდ ღირებულია, რადგან გადმოცემული ამბის საშუალებით მოუწოდებს პატიოსნებისაკენ და გმობს ტყუილსა და სიხარბეს.

ოჯახური ურთიერთობების თვასაზრისით, ზღაპარში არ გვხვდება მსგავსი თემატიკა, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხის მჭრელი დღედაღამ შრომობდა რომ ოჯახი ერჩინა. ეს შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მეოჯახე პიროვნების წახალისება, თუმცა სხვა მხრივ ნაწარმოებში არ ვხვდებით ოჯახური ურთიერთობების ფაქტებს. შესაბამისად არც ოჯახური აღზრდის მოტივები და არც მოდელები არ გვაქვს.

„ხელმწიფის შვილის და ხელმწიფის ამბავი“

ზღაპარი „ხელმწიფის შვილის და ხელმწიფის ამბავი“ მოგვითხრობს, თუ როგორ გაგზავნა ხელმწიფემ თავისი მემკვიდრე ქვეყნის ყველა მხარეში სახლის ასაშენებლად. ვაჟმაც პირნათლად შეასრულა მამის დავალება და შინ დაბრუნებულმა უთხრა მამას, თუ როგორი და კარგი სახლები ააშენა საგანგებოდ შერჩეულ მიწებზე. მიუხედავად ამისა, ხელმწიფემ საქციელი დაუწუნა, რისი მიზეზიც ის იყო, რომ შვილი ვერ ჩასწვდა მამის დავალების რეალურ არსს. სინამდვილეში მამა მოყვასის გაჩენას გულისხმობდა სახლის აშენებაში. მეფის საქციელი მისი მიზნიდან გამომდინარე დამრიგებლური ხასიათისაა, მაშასადამე ზღაპარი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პედაგოგიური მოტივების შემცველი.

ზღაპარი შინაარსიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო ჟანრს შეგვიძლია მივაკუთნოთ.(ზ.კიკნაძე,2007). მასში ყოფითი პობლემაა წამოჭრილი და მისი გადაჭრის გზების ძიება.

ზღაპარი“ ხელმწიფის შვილი და ხელმწიფის ამბავი“ დასახელებიდანაც მიგვანიშნებს, რომ ოჯახურ ურთიერთობის თემაზეა აგებული, შესაბამისად ოჯახური აღზრდის მოდელების ძიება მასში სავსებით დასაშვებია.

დასკვინს დახით, ნაწარმოებს შეიძლება მივანიჭოთ მაღალი პედაგოგიური ღირებულება მისი ძირითადი სათქმელიდან გამომდინარე, ხოლო რაც შეეხება ოჯახურ აღზრდის მოდელებს, სავსებით შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება მისივე შინაარსზე დაყრდნობით.

„მიწას პატრონი უნდა“

ზღაპარი, “მიწას პატრონი უნდა“ გვიყვება მამისა და მისი სამი ვაჟის ამბავზე. ნაწარმოების მიხედვით, დაქვრივებულ კაცს მარტოს მოუწია ოჯახის უღელის ზიდვა და შვილების გაზრდა, წამოზრდილმა ვაძებმა კი ოჯახის მიწის დამუშავების მაგივრად წასვლა და გამდიდრება არჩიეს, თუმცა როგორც ზღაპრის ბოლოს ირკვევა მათ ვერა რა ნახეს უცხო მხარეში და დაბეჩავებულები და შერცხვენილები ისევ სახლში, მშობლიურ მიწაზე დაბრუნდნენ.

ნაწარმოები შინაარსიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ საყოფაცხოვრებო ჟანრის ზღაპრებს მიეკუთვნება.(ზ.კიკნაძე,2007). ჩვენ აქ ვხედავთ წმინდა ოჯახურ ურთიერთობებს და ოჯახურ აღმზრდელობით მეთოდებს.

ოჯახური ურთიერთობის ამსახველია მამისა და შვილების ქმედებები ერთმანთის მიმართ, მაგალითად, მამის მზრუნველი და შილების უპსუხილმგებლო დამოკიდებულება მამის მიმართ. მშობლის ქმედებას თუ განვიხილავთ ოჯახის ტიპის კლასიპიკაციის მიხედვით, შეგვიძლია მას დემოკრატიული ვუწოდოთ. (С. И. Голод,1984), ვინაიდან ზღაპარში ვხედავთ, რომ მამა არ ეწინააღმდეგება შვილების გადაწყვეტილებას და პატივს სცემს მას, მიუხედავად იმისა, რომ იცის ის არასწორია, ხოლო როდესაც ის საკუთარ სიმართლეში რწმუნდება მაინც არ ცდილობს მათ გაკიცხვას. რა თქმა უნდა, ეს უნდა განვიხილოთ როგორც აღზრდის ერთგვარი მეთოდი და სხვა დანარჩენი გარემოების გათვალისწინებით განვსაზვროთ, როგორც ოჯახური აღზრდის მოდელი, ქართულ ხალხურ ზღაპარში.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვა, რომ ზღაპარი „მიწას პატრონი უნდა“ პედაგოგიური ღირებულების ნაწარმოებია, რომელიც გვასწავლის მშობლიური მხარის სიყვარულსა და ოჯახის პარივისცემას, ამასთან ვხვდებით ოჯახური არზრდის მეთოდებს, რაც შესაბამისად ოჯახური აღზრდის მოდელების არსებობაზე მიუთითებს.

„სწორ-მრუდის მაკრატელი“

„სწორ-მრუდის მაკრატელი“ ძველი სვანური ზღაპარია. ნაწარმოებში მოთხრობილია „მაჩუბის“ ოსტატისა და ხუთი ძმის ამბავი. მას შემდეგ, რაც ოსტატმა ძმებს აუშენა დაპირებული „მაჩუბი“, ძმებმა ის გამოკეტეს იმის შიშით, რომ სხვას უკეთესს აუშენებდა. დატყვევებულ ოსტატს ჭკვიანი ცოლი დაეხმარა, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა თავისი ქმრის და მიუხვდა შეფარვით გადაცემული ყოველი დანაბარებსა. საბოლოო ჯამში ცოლმა შეძლო ქმრის გათავისუფლება, რის შემდეგაც ბედნიერად განაგრძეს ცხოვრება, შურიანი ძმები კი საკადრისად დაისაჯნენ.

ზღაპარი „სწორ-მრუდის მაკრატელი“ შინაარსიდან გამომდინარე შეგვიძლია საყოფაცხოვრებო ჟანრის ნაწარმოებად მივიჩნიოთ.(ზ.კიკნაძე, 2007). ვინაიდან ასახულია ადამიანის ყოფითი პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება.

რაც შეეხება ნაწარმოების აღმზრდელობით დატვირთვას, შეიძლება ვთქვათ, რომ აქ სამი ძირითადი მოტივი გვხვდება, პირველი ზღაპრის მორალი გვასწავლის, რომ შური ადამიანის დასაძრახი თვისებაა და აუცილებლად ისჯება, მეორე მოტივად მოხერხებულობისა და ჭკუის გამოყენების წახალისებაა ადამიანში ოსტატისა და მისი ცოლის მაგალითზე, ხოლო მესამე და საინტერესო მოტივად შეიძლება მივიჩნიოთ კარგი ცოლქმრული ურთიერთობების მაგალითისა და უპირატესობის ჩვენება. ოსტატის ცოლს ხომ თითქის უსიტყვოდ ესმოდა ქმრის, რისი წყალობითაც შეძლეს დაბრკოლებების გადალახვა.

შეჯამების სახით, ზღაპარი „სწორ-მრუდი მაკრატელი“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პედაგოგიური დატვირთვის ნაწარმოები, მიუდევად იმისა რომ ყოფითი ჟანრისაა, მასში არ გვხვდება ოჯახური აღზრდის მოტივები და შესაბამისად, არც ოჯახური აღზრდის მოდელები, რაც შინაარსის სპეციგიკიდან გამომდინარე უნდა იყოს.

„კურდღელი და მისი ბაჭიები“

„კურდღელი და მისი ბაჭიები“ ხალხური ზღაპარია ცხოველებზე. რაზეც ნაწარმოების სათაური და შინაარსი მიუთითებს. (ზ.კიკნაძე, 2007)

ზღაპარი მოგვითხრობს დედა კურდღელზე, რომელიც ცდილობს თავისი ბაჭიების ყინვიან ზამთარში გათბობას. ზღაპარში ვხედავთ თუ რა ხერხებით აღწევს დედა კურდღელი შვილების გახალისებას და მათთვის მძიმე ზამთრის შემსუბუქებას. იგი ხან რა ისტორიებით ართობს, მათ ხან რა. პედაგოგიური თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ასევე მისი საქციელი, როდესაც ცდილობს პატარების ემოციურ მგდგომარეობაზე იმოქმედოს და ასე აამაღლოს მათი გუნება-განწყობა. „კურდღელმა სერიდან შორს, ერთი კილომეტრის მანძილზე, ტყესთან ცეცხლი დაინახა. ჩაიცუცქა უკანა ფეხებზე, წინა თათები მიუფიცხა ცეცხლს და დაუწყო თათებს ტრიალი“. კურდღლის ასეთი ქცევა მიანიშნებს მასზე, როგორც მშობელზე, რომელსაც კარგად ესმის თავისი შვილების და იცის თუ როგორ მიუდგეს მათ. ასეთ დამოკიდებულებას მშობლისა შვილის მიმართ შეიძლება დემოკრატიულიც კი ვუწოდოთ.(С. И. Голод,2001)

მაშასადამე, დასკვნის დახით, თუ განვიხილავთ დედა კურდღლის ქცევას, როგორც აღმზრდელობით მეთოდოლოგიას და მის შვილებთან დამოკიდებულებას ოჯახის ტიპოლოგიის მიხედვით, სავსებით შესაძლებელი იქნება ნაწარმოებში ოჯახური აღზრდის მოდელების იდენტიფიცირებაც.

„ნახევარწიწილა“

ზღაპარი „ნახევარწიწილა“ მოგვითხრობს მისი მთავარი პერსონაჟის ნახევარწიწილას ამბავს, თუ როგორ აღადგინა სამართლიანობა და დაამარცხა ბოროტი ბატონი.

ჟანრული თვასაზრისით, ნაწარმოები შეიძლება ჯადოსნურ ზღაპართა რიგს მივაწეროთ, ძირითადი პერსონაჟი ნახევარწიწილა საოცარი უნარითაა დაჯილდოებული, მას შეუძლია შთანქოს დათვის, მგელი ან კი ზღვა. (ზ. კიკნაძე, 2007)

ზღაპარი სტუქტურულადაც უნიკალურია, მისთვის დამახასიათებელია ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებული ზემოქმედების ხშირი გამეორებაც, რაც გარკვეულ სიძნელეს სძენს მის დამახსოვრებასა და აღქმას, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ხალხი ამ ფრაზების სისტემატური გამეორებით ცდილობს ბავშვის (ზღაპრის ადრესატის) დამახსოვრების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე პედაგოგიურ მოტივებთან გვაქვს საქმე, კერძოდ კი ცოდნის განმტკიცების დიდაქტიკურ პრინციპს. (ან. ხინთიბიძე, 1976) პედაგოგიური მოტივი ჩანს ზღაპრის მათავარ სათქმელშიც, მისი მორალი გვასწალის, რომ უსამართლობა დაუსჯელი არ დარჩება, რაც არ უნდა მცირე და უსუსური იყოს მისი მაძიებელი. მაშასადამე, ზღაპარი „ნახევარწიწილა“აღმზრდელობითი ღირებულების ნაწარმოებია, რომელშიც დიდაქტიკურ სწავლების პრინციპაბსაც ვხვდებით.

რაც შეეხება ოჯახური აღზრდის მოტივებს, ნაწარმოებში მას საერთოდ არ ვხვებით, შესაბამისად არც ოჯახური აღზრდის მოდელები შეგვეძლება განვსაზღროთ. ამის ახსნა კი შეიძლება ერთი მარტივი მიზეზით, ზღაპარი შინაარსობრივად არ შეიცავს ოჯახურ ურთიერთობათა თემატიკას.

„ძაღლი“

ზღაპარი „ძაღლი“ გვიყვება მისი მთავარი პერსონაჟის ძაღლის ისტორია, რომელიც უძლეველი ამხამაგის ძიებაშია. იგი ცდის დამეგობრებას მგელთან, შემდეგ დათვთან, შემდეგ ლომთან, თუმცა ბოლოს აღმოაჩენს რომ ყველაზე ძლიერი არსება ამ ქვეყნად ადამიანი ყოფილა და მასთან დარჩება სამუდამოდ.

ზღაპარი „ძაღლი“ საერთო ჯამში ცხოველის ისტორიაზეა, მიუხედავად იმისა, რომ მასში ადამიანიც ფიგურირებს, ნაწარმოები კლასიკური კლასიფიკაციის მიხედვით ცხოველთა ზღაპრების რიგს უნდა მივაკუთნოთ (ზ.კიკნაძე, 2007)

სტრუქტურულად ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებული ზემოქმედების ხშირი გამეორება, რაც გარკვეულ სიძნელეს სძენს მის დამახსოვრებასა და აღქმას, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ხალხი ამ ფრაზების სისტემატური გამეორებით ცდილობს ბავშვის (ზღაპრის ადრესატის)

დამახსოვრების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე პედაგოგიურ მოტივებთან გვაქვს საქმე, კერძოდ კი ცოდნის განმტკიცების დიდაქტიკურ პრინციპთან. (ან. ხინთიბიძე, 1976)

ზღაპარი „ძაღლი“ თავისი ძირითადი სათქმელიდან გამოდინარე აღმზრდელითი ხასიათისაა, ვინაიდან გვიჩვენებს ადამიანისა და ძაღლის მრავალსაუკუნებრივი მეგობრობის არსს, ადამიანი ისეთივე მცველია ძაღლის, როგორც ძაღლი ადამიანისა. მაშასადამე მათი ურთიერთობა ერთმანეთის ზრუნვაზეა დაფუძნებული.

ოჯახური ურთიერთობის ამსახველ ფაქტებს ნაწარმოებში არ ვხვდებით და არც ოჯახური აღზრდის მოდელებს, ვინაიდან ზღაპრის შინაარსი არაა შემცველი მსგავსი თემატიკის. ასე რომ, მიუხედავად მისი პედაგოგიური ღირებულებისა ზღაპარში შეუძლებელია მასში ოჯახური აღზრდის მოდელების განსაზღვრა.

„ერთი მანეთის შოვნა“

ზღაპარი „ერთი მანეთის შოვნა“ მოგვითხრობს ერთ უქნარა და ზარმაცი ბიჭის ამბავზე, რომელსაც მამამ დაავალა ერთი მანეთის შოვნა, წინააღმდეგ შეთხვევაში კი ქონებას არ გადასცემდა მემკვიდრეობით. ნაწარმოების მიხედვით ბიჭს რამდენჯერმე მიაქვს მამასთან ერთი მანეთი, თუმცა ყოველ ჯერზე მამა უკმაყოფილო რჩება და წვავს ფულს, ბოლოს კი ცეცხლში შეგდებულ ფულს ბიჭი ცარიელი ხელებით მივარდება და დაწვისაგან გადარჩენას დაუპირებს. სწორეს ამ დროს მამა კმაყოფილებით ეტყვის, რომ სჯერა შვილის და მის მიერ ნაშოვნი ერთი მანეთის.

ზღაპრის მორალი შემდეგია; შრომით მოპოვებული ერთი მანეთის კი ყველაზე ძვირფასია, ვიდრე მუქთად მიღებული მთელი ქონება. აქედან გამომდინარე ზღაპარი საკმაოდ მაღალი აღმზრდელობითი ღირებულების მატარებელია.

ნაწარმოები საყოფაცხოვრებო ზღაპართა ჟანრს მიეკუთვნება, ვინაიდან მასში ჩვეულებრივი ოჯახის ყოფითი პრობლემებია ასახული და მისი გადაჭრის გზები წარმოდგენილი.(ზ.კიკნაძე, 2007).

როგორც ვთქვით, ზღაპარი საყოფაცხოვრებო ჟანრს მიეკუთვნება, შესაბამისად მასში ასახულია ოჯახური ურთიერთობების, მამისა და შვილის მაგალითზე

დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ოჯახური აღზრდის მეთოდებსა და მოტივებზეც. მეთოდად შეიძლება განვიხილოთ, ის რომ მამა ცდილობს გამოცდილება შემატოს შვილს და არა მხოლოდ შეგონებითა და ჭკუის დარიგებით შემოიფარგლოს, მოტივი კი შვილისთვის შრომის ფასის ჩვენების მცდელობა უნდა ვიგულისხმოთ. ყოველივე ამაზე დაყრდნობით ლოგიკურია ვიმსჯელოთ წარმოდგენილი ოჯახის ტიპოლოგიაზე, კერძოდ როგორც დემოკრატიული ტიპის ოჯახზე.(С. И. Голод, 1984).

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ზღაპარი „ერთი მანეთის შოვნა“ პედაგოგიური ღირებულების, საყოფაცხოვრებო ჟანრის ნაწარმოებია, რომელშიც ვხვდებით ოჯახური აღზრდის მოტივებს და შესაბამისად ოჯახური აღზრდის მოდელების იდენტიფიცირებაც სავსებით დასაშვებია.

„ნაცარქექია“

„ნაცარქექია“ ცნობილი ქართული ზღაპარია. მთავარ გმირს, ნაცარქექიას რძალი აგდებს დახლიდან ლუკმა-პურის საშოვნელად. საშოვარზე წასულ ნაცარქექიას თან მიაქვს სამი ნივთი, ჭყლინტი ყველი, სადგისი და ნაცარი. შემდგომში იგი ამ ნივთების ეშმაკურად გამოყენებით სძლევს დევს, დაეპატრონება მის ქონებას.

ჟანრული თვალსაზრისით „ნაცარქექია“ ატიპიური ნაწარმოებია. ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში იგი განიხილება, როგორც ნოველისტური ტიპის საყოფაცხოვრებო ზღაპარი, თუმცა მესტვირიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს არ კმარა მისი კლასიფიკაციის განსასაზღვრად, რადგან ის სხვა ასპექტებდაც მოიცავს, კერძოდ ჯადოსნური ზღაპრის დამახასიათებელ ნიშნებს. მაგალითად დევი, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის ერთ-ერთი ძირითადი ანტაგონისტი პერსონაჟია ხოლმე. (ნ.მესტვირიშვილი,2014). ვითვალისწინებთ რა, და ვეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, მივიჩნევთ ყველაზე ადეკვატური იქნება თუ „ნაცარქექიას“ შერეული ტიპის ზღაპრად დავახასიათებთ.(Н.С. Бибко,1990).

ნაცარქექია ზარმაცი პერსონაჟია, თუმცა ზღაპარში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ვხედავთ, რომ მას შეუძლია გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვა, უბრალოდ მთავარია მოინდომოს და გადადგას პირველი ნაბიჯი. აქედან გამომდინარე

ზღაპრის ძირითადი მორალიც სიზარმაცის დაძლევა და გადალახვაა, რაც თავისთავად უკვე ნაწარმოების აღმზრდელობით ღირებულებაზე მიანიშნებს.

რაც შეეხება ოჯახური აღზრდის მოტივებს, ზღაპარში მას არ ვხვდებით. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის ამსახველი მომენტი მხოლოდ რძლისა და ნაცარქექიას ეპიზოდით შემოიფარგლება, შესაბამისად არც ოჯახური აღზრდის მოდელების არსებობა იქნება დასაშვები.

მაშასადამე, ზღაპარს „ნაცარქექია“ ჩვენ განვიხილავთ, როგორც შერეული ტიპის, პედაგოგიური ღირებულების ნაწარმოებს, თუმცა შეუძლებლად მივიჩნევთ მასში ოჯახური აღზრდის მოდელების განსაზღვრას, რისი მიზეზიც უბრალოთ, შინაარსის სპეციფიურობით უნდა აიხსნას.

„გვრიტი“

ზღაპარი „გვრიტი“ მოგვითხრობს დედა გვრიტის ისტორიას, თუ როგორ იხსნა თავისი შეუპოვრობისა და მეგობრების დახმარებით, ბოროტი კაცისაგან ბარტყები. ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, ნაწარმოები შეგვიძლია „ცხოველთა ზღაპრებში“ გავაერთიანოთ, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ანტაგონისტი პერსონაჟი ადამიანია. (ზ.კიკნაძე, 2007)

სტრუქტურულად ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებული ზემოქმედების ხშირი გამეორება;

-„გვრიტო გვრიტო სად მიფრინავო?

- შვილების საპოვნელადო.

-მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

-ძალიან კარგიო.“

თხრობის ასეთი ფორმა გარკვეულ სიძნელეს სძენს მის დამახსოვრებასა და აღქმას, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ხალხი ამ ფრაზების სისტემატური გამეორებით ცდილობს ბავშვის (ზღაპრის ადრესატის) დამახსოვრების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე პედაგოგიურ მოტივებთან გვაქვს საქმე, კერძოდ კი ცოდნის განმტკიცების დიდაქტიკურ პრინციპთან. (ან.ხინთიბიძე,1976)

მაშასადამე ზღაპარი აღმზრდელობითი ღირებულებისაა. აღმზრდელობით ღირებულებაზე მიუთითებს თითოეული პრსონაჟის ქმედება, დედის თავგანწირვა, სხვა ცხოველების დახმარების სურვილი და ბოლოს მთავარი დამნაშავის, ბოროტი კაცის საკადრისად დასჯა. როგორც ნ. კაპანაძე აღნიშნავს, როდესაც ზღაპრის პერსონაჟი ღირსეული თვისებებითაა შემკობილი, იგი ბავშვის მისაბაძი მაგალითი ხდება. (ნ.კაპანაძე 1986).

ზღაპარში „გვრიტი“ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ფაქტები არ გვხვდება, შესაბამისად ვერც კონკრეტულად ოჯახური აღზრდის მოტივების განსაზღვრას შევძლებთ, ამ უკანასკნელის არ არსებობა კი ზღაპარში ოჯახური აღზრდის მოდელის იდენტიფიცირების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ზღაპარი „გვრიტი“ მაღალი აღმზრდელობითი ღირებულების ნაწარმოებია, თუმცა მისი შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე მასში არ ვხვდებით ოჯახური აღზრდის მოდელებს.

„მეფე და სკვინჩა“

ზღაპარი „მეფე და სკვინჩა“ მოგვითხრობს საოცარ ისტორიას იმის თაობაზე, თუ როგორ დაამარცხა პატარა სკვინჩამ სასტიკი და უსამართლო მეფე.

კლასიკური ტიპოლოგიის მიხედვით ნაწარმოები „ჯადოსნური ზღაპრების“ რიგს უნდა მივაკუთვნოთ. დასაწყისში გვაქვს ტიპიური ფორმა შესავლისა *„იყო და არა იყო რა“*, რაც ჯადოსნური ზღაპრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ჯადოსნური ელემენტებითაა გაჯერებული ზღაპრის შინაარსიც, მაგალითად მოლაპარაკე სკვინჩა, რომელიც დაკვლის და მეფის მიერ კერძად მირთმევის შემდეგაც კი თავს მშვენივრად გრძნობს.

ზღაპარი სტრუქტურულადაც საკმაოდ საინტერესოა, მასში თხრობასთან ერთად ვხვდებით გარითმულ ფრაზებსაც, რომლეიც ხშრად მეორდება. მაგალითად; *„მეფე ძარცვავს ღარიბებს, მისიანებს ამდიდრებს“.* რაც ტექსტს გარკვეულ მრავალფეროვნებას ჰმატებს და ამასთან ერთად აღმზრდელობით დატვირთვასაც ღებულობს. კერძოდ; ხალხი ამ ფრაზების სისტემატური გამეორებით ცდილობს ბავშვის (ზღაპრის

ადრესატის) დამახსოვრების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე პედაგოგიურ მოტივებთან გვაქვს საქმე, კერძოდ კი ცოდნის განმტკიცების დიდაქტიკურ პრინციპთან. (ან. ხინთიბიძე, 1976)

აღმზრდელობითი ხასიათისაა თვითონ ზღაპრის ძირითადი მორალი, რომლის მხედვით უსამართლობის ჩამდენი აუცილებლად დაისჯება, მიუხედავად იმისა ის მეფე იქნება თუ უბრალო ადამიანი, რაზეც დასასრულს კვლავ რითმით გადმოცემული ფრაზები მოწმობს.

„უსამართლო მეფესა

ასეთი რამ შეხვდესა“

რაც შეეხება ოჯახური აღზრდის მოტივებს, როგორც ვხედავთ ზღაპარში არ ვხვდებით, შესაბამისად ვერც ოჯახური აღზრდის მოდელების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს ტექსტი.

დასკვნის დახით, უნდა ითქვას, რომ ზღაპარი „მეფე და სკვინჩა“ პედაგოგიური თვალსაზრისით საკმაოდ ღირებულია, იგი გვასწავლის სამართლიანობას და მისთვის რძოლას, თუმცა ოჯახური აღზრდის მოდელების იდენტიფიცირება მასში ვერ ხდება შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

„წიქარა“

„წიქარა“ ყველასათვის ცნობილი ქართული ხალხური ზღაპარია, მასში გადმოცემულია პატარა ბიჭისა და მისი ხარის, წიქარას მეგობრობის ისტორია. მას შემდეგ, რაც ბოროტი დედინაცვალი ქმარს დაიყოლიებს, რომ შვილი მოკლას, წიქარა ბიჭს გაქცევაში დაეხმარება და დიდი ალვის ხეზე შესვავს, თან სალხინო და საჭირო სალამურს მისცემს იმ შემთხვევისთვის თუ გაუჭირდებოდა დაუკრავდა და წიქარა დასახმარებლად მოვიდოდა. ერთი შურით ავსებული მეცხვარე ბიჭს მოტყუებით ცხრა კლიტურში გამოკეტავს, მის დასახმარებლად მისულ წიქარას მერვე საკეტის გატეხვისას რქა მოსტყდება. მის გამთელებაში კი თაგვი დაეხმარება მისი ლეშის შეჭმის სანაცვლოდ. წიქარა დასთანხმდება და ბიჭს გაანთავისუფლებს. გათავისუფლების

შემდეგ წიქარა მინდორში მიდის, გარკვეული დროის შემეგ კი როცა თაგვი მოითხოვს წიქარას ლეშს, იგი დაინახავს ხარისა და ბიჭის უსაზღვრო მეგობრობას და ორივეს სიცოცხლეს აჩუქებს.

საინტერესოა რომ ზღაპარს აქვს მეორე ვერსიაც დასასრულის, რომელის მიხედვითაც თაგვი ჭამს ლეშს, ბიჭი კი წიქარას მინდორში პოულობს მკვდარს. ეს ვერსია გაცილებით ძველადაა მიჩნეული, ამიტომ სახელმძღვანელოში შეტანილი ვერსია შეიძლება მის მოდიფიცირებულ ფორმად მივიღოთ. უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემულია მხოლოდ ზღაპრის ნაწილი, კერძოდ იმ მომენტიდან როცა ბიჭს გამოკეტავენ საპყრობილეში.

ჟანრული თვასაზრისით, თუ დავეყრდნობით კლასიკურ ტიპოლოგიას,"წიქარა" ჩვენი აზრით, ჯადოსნურ ზღაპართა რიგებში უნდა მოვიხსენიოთ, ვინაიდან მასში ვხვდებით ჯადოსნური ზღაპრის დამახასიათებელ ნიშნებს, აგალითად მოლაპარაკე ხარი. წიქარა მაგიური ცხოველია, ასევე თაგვი, რომელსაც რქის გამთელება შეუძლია, ან კი „საჭირო" და „სალხინო" სალამურები, რეალური ცხოვრებისგან შორს მდგარი ნივთებია. (ზ.კიკნაძე, 2007).

ზღაპარი „წიქარას" აღმზრდელობით თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ნაწარმოებია. იგი გადმოგვცემს მეგობრობის იდეას კონკრეტულად მეგობრობის გამომხატველი ქმედები მაგალითზე. გვასწავლის როგორ ამოვიცოთ ნამდვილი მეგობარი, მიუთითებს მეგობრობის საზღვრებზე. მნიშვნელოვან გზავნილს გვთავაზობს პირობის შესრულების აუცილებლობაზე, და გვიჩვენებს თუ რა მოსდევს მის დარღვევას. (ნ. მესტვირიშვილი, 2014).

ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ფაქტს ჩვენ ვხვდებით ზღაპარში, თუმცა აღმზრდელობითი მოტივები მასში არ იგრძნობა, ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმძღვანელოში ეს ეპიზოდიც არაა შეტანილი.

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზღაპარი „წიქარა"არის აღმზრდელობითი ღირებულების მატარებელი ნაწარმოები, იგი მკითხველს ასწავლის მეგობრობის ფასს და მისი მოფრთხილებისაკენ მოუწოდებს, თუმცა ოჯახური

აღზრდის მოტივებს მასში არ ვხვდებით და შესაბამისად ოჯახური აღზრდის მოდელების განსაზღვრაც ვერ მოხერხდება.

შეჯამება

ნარატიული ანალიზის მეთოდით განხილული 21 ზღაპრიდან ოჯახური აღზრდის მოდელების განსაზღვრა შესაძლებლად მივიჩნიეთ მხოლოდ 7 მათგანში.

ცხრილში 5.1. მოცემულია ნატარივის ანალიზის შედეგები კითხვაზე; *შესაძლებელია თუ არა მიზნობრივად შერჩეულ ზღაპარში ოჯახური აღზრდის მოდელების განსაზღვრა?* პასუხები გადანაწილებულია „დიახ“ და „არა“ პრინციპით, ხოლო თითოეულს მინიჭებული აქვს შესაბამისი (პირობითი) კოდი. „დიახ“- 1 და „არა“ – 0.

ცხრილი. 5.1

ზღაპრების დასახელება	დიახ	არა
ორი ძმა		0
სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი		0
კურდღელი, მელა, მგელი და დათვი		0
მებადურის შვილი	1	
ჭინჭრაქა		0
ორი ძმა.		0
ქალამზე	1	
ყველაზე ძვირფასი ნაყოფი	1	
პატიოსანი ხის მჭრელი		0
ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი	1	
მიწას პარტონი უნდა	1	
სწორ-მრუდის მაკრატელი		0
კურდღელი და ბაჭიები	1	
ნახევარწიწილა		0
ძაღლი		0
ერთი მანეთის შოვნა	1	
ნაცარქექია		0
გვრიტი		0
მეფე და სკვინჩა		0
წიქარა		0
ოქროსტარიანი ცული		0
რწყილი და ჭიანჭველა		0

ოჯახური აღზრდის მოდელები, დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილ ქართულ ხალხურ ზღაპრებში.

ამ პარაგრაფში წარმოდგენილია კვლევის ინსტრულენტის (ინდიკატორების) მიხედვით ზღაპრების ანალიზის შედეგები.

ცხრილი 5.2 მოცემულია კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებული შედეგები კითხვაზე; *არის თუ არა მიზნობრივად შერჩეულ ზღაპარში ოჯახური აღზრდის მოდელი?* პასუხები გადანაწილებულია „დიახ“ და „არა“ პრინციპით, ხოლო თითოეულს მინიჭებული აქვს შესაბამისი (პირობითი) კოდი. „დიახ“- 1 და „არა“ – 2.

ცხრილი. 5.2

ზღაპრების დასახელება	დიახ	არა
ორი ძმა		0
სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი		0
კურდღელი,მელა, მგელი და დათვი		0
მებადურის შვილი	1	
ჭინჭრაქა		0
ორი ძმა.		0
ქალამზე	1	
ყველაზე ძვირფასი ნაყოფი	1	
პატიოსანი ხის მჭრელი	1	
ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი	1	
მიწას პარტონი უნდა	1	
სწორ-მრუდის მაკრატელი		0
კურდღელი და ბაჭიები	1	
ნახევარწიწილა		0
ძაღლი		0
ერთი მანეთის შოვნა	1	
ნაცარქექია		0
გვრიტი		0
მეფე და სკვინჩა		
წიქარა		0
ოქროსტარიანი ცული		0
რწყილი და ჭიანჭველა		0

როგორც ვხედავთ, ცხრილი 5.2-ში გამოტანილი შედეგების მიხედვით, ოჯახური აღზრდის მოდელი გვხვდება 22 ზღაპრიდან მხოლოდ 8 ზღაპარში.

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ საკვლევი ობიექტი (ზღაპრები) ვიკვლიეთ ორი განსხვავებული მეთოდით. პირველი. როგორც უკვე ავღნიშნეთ ნარატიული ანალიზის მეთოდით და მეორე სპეციალურად შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტით. კვლევის ორივე მეთოდი იყო ორიენტირებული მიზნობრივი შერჩევით შერჩეულ ზღაპრებში ოჯახური აღზრდის მოდელების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრისკენ. შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ მონაცემთა ორი ვერსია, რომელიც უკვე წარმოვადგინეთ ცხრილი 5.1 და ცხრილი 5.2 სახით.

კვლევის შემდგომ ეტაპზე, მონაცემთა დამუშავებისას, შედეგების სანდოობაში დასარწმუნებლად, უკვე გადაკოდირეული მონაცემები შევიყვანეთ Spss პროგრამაში და საჭირო ტესტის, „კოენის კაპპას“ (k) საშუალებით შევეცადეთ დაგვედგინა, რამდენად ემთხვეოდა ეს ორი სხვადასხვა მეთოდით მიღებული შედეგები ერთმანეთს. „კოენის კაპპას“ ტესტმა აჩვენა შემდეგი: $k=0.713$, $p<0.005$, რაც შედეგების დამთხვევის დაშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. (A.Field, 2016).

დასკვნები

- ✓ კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხალხური ზღაპარი, როგორც ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუში, დაკმაოდ მაღალი აღმზრდელობითი ღირებულებისაა და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში.
- ✓ ოჯახს და ოჯახურ აღზრდას უპირველესი ადგილი უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში, ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული მომავალში ადამიანის პიროვნული მახასიათებლები. შესაბამისად, ის აღმზრდელობითი მეთოდები და ტრადიციები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ოჯახში ბავშვის მიმართ საინტერესოა და მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-მეცნიერული თვალსაზრისით.
- ✓ კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ზღაპრის მეშვეობით გადმოცემული ოჯახური აღზრდის მოდელების პედაგოგიურ-მეცნიერული მნიშვნელობა და მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში.
- ✓ აღმოჩნდა, რომ გამომცემლობები ვერ სთავაზობენ სკოლებს დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს სრული კომპლექტით, ანუ პირველი კლასიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, რაც გამოწვეულია იმით, რომ გრიფირება მინიჭებული აქვს მხოლოდ ზოგიერთ სახელმძღვანელოს. როგორც გაირკვა, აღნიშნული გარემოება გარკვეულ სირთულეს ქმნის სწავლის პროცესში, რადგან სკოლებს არ ეძლევათ საშუალება გამომცემლობების არჩევის. მეორე მხრივ, არსებულმა ვითარებამ გვაიძულა კვლევის სპეციფიკის შეცვლა, რამაც მოსალოდნელთან შედარებით განსხვავეულ შედეგებზე გაგვიყვანა.
- ✓ კვლევამ ცხადყო, რომ კვლევის შერჩევაში მოხვედრილი 5 სხვადასხვა გამომცემლობის 14 წიგნში შეტანილი ქარული, ხალხური ზღაპრის საერთო რაოდენობა სულ 22 შეადგენს, ხოლო ოჯახური აღზრდის მოდელები აქედან გამოვლინდა მხოლოდ 7 მათგანში, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 31%, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ამ შვიდეულში ყველა გამომცემლობა ვერ მოხვდა.

- ✓ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ჰიპოტეზა ნაწილობრივ გამართლდა, თუმცა არა ყველა შერჩეული ზღაპრის მაგალითზე.
- ✓ იქიდან გამომდინარე, რო ჩვენ არ მოგვეცა საშუალება გამომცემლობების მიხედვით სახელმძღვანელოთა სრული კომპლექტის კვლევისა, შეუძლებელი აღმოჩნდა გვეთქვა, რომელი გამომცემლობა რა მნიშვნელობას ანჭებს სასწავლო პროცესში ქართულ ხალხურ ზღაპრებს, ან ამა თუ იმ კლასში რამდენ და რა თემატიკის ზღაპარს სთავაზობს მოსწავლეს.
- ✓ მიუხედავად უკვე აღნიშნული გარემოებებისა, საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ ქართულ ხალხურ ზღაპარს სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში, დაწყებითი საფეხურის ბაზაზე არ ეთმობა შესაბამისი ყურადღება. ამაზე მეტყველებს შერჩევაში შესული ზღაპრების რაოდენობაც; 14 სახელმძღვანელოში მხოლოდ 22 ზღაპარი არაა საკმარისი, იმისდაგათვალისწინებით თუ რა მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელობით პროცესში მას.
- ✓ კვლევის შედეგები გვაძლევს იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ სახელმძღვანელოების ავტორებს სრულად არ აქვთ გაცნობიერებული ზღაპრის აღმზრდელობითი ფუნქციები, რადგან ამ ზღაპრების შერჩევაში არ ჩანს, რომ დაცულია რაიმე მეთოდოლოგიური მპრინციპი.
- ✓ შერჩეული ზღაპრების სხვადასხვა დავალებებითა და კითხვებით დამუშავებულია, თუმცა ისინი არ გადიან ზღაპარში არსებულ ოჯახური აღზრდის მოტივებზე და ორიენტირებულია ზოგადად ზღაპრის ძირითად სათქმელზე, რის გამოც ზღაპრის სიღრმისეული გააზრება თითქმის არ ხდება.
- ✓ კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გრიფირების დროს საექსპერტო შეფასებისას არ არის გათვალისწინებული შესაბამისი სამეცნიერო ცოდნა, რაც ამ ზღაპრების საკითხებზე უნდა ჰქონდეს სამინისტროს პოზიციაში ექსპერტს.

რეკომენდაციები

- ✓ ვფიქრობთ, ქართულ ხალხურ ზღაპრს, როგორც მაღალ აღმზრდელობითი ღირებულების ნაწარმოებს შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს, მოცემულ შემთხვევაში ეს შეიძლება გამოხატოს დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში მათი რაოდენობის გაზრდით.
- ✓ სახელმძვანელოში შეტანილი ზღაპრების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, პარალელურად უნდა ხდებოდეს მათი მეთოდოლგიურად მაღალი ხარისხით დამუშავება, რაც შეიძლება გამოიხატოს; ა) გრიფირების პროცესში ამ საკითხში კომპეტენტური ექსპერტის ჩართვით, ბ) თითოეული ზღაპრისთვის შესაბამისი სავარჯიშოებისა და კითხვების შემუშავებით, რომლებიც დაეხმარება მოსწავლებს ტექსტის სიღრმისეულად გააზრებაში, გ) ზღაპარში ოჯახური აღზრდის მოდელების არსებობის შემთხვევაში იქნება კონკრეტულად ამ საკითხზე განკუთვნილი სხვადასხვა დავალებები.
- ✓ ქართული ხალხური ზღაპრები ჟანრობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია, შესაბამისად მრავალფეროვანია მისი პედაგოგიური მოტივები, რომლებიც მათშია ასახული, რაც საშუალებას იძლევა შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად გავზარდოთ სასწავლო მასალის აღმზრდელობითი ღირებულება.
- ✓ ხალხურ ზღაპრებში გადმოცემული ოჯახური აღზრდის მოტივები მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროცესის, ამიტომ, სასკოლო განათლებაში აუცილებელად მიგვაჩნია მათი როლის გაზრდა. ქართული ზეპირსიტყვიერება მდიდარია ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ზღაპრებით, რომლებსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი არც კი იცნობს, ამიტომ ვფიქრობთ, დადებითი შედეგის მომტანი იქნება თუ შესაბამისი შერჩევის საფუძველზე შევიტანთ მათ დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში. შედეგად გაიზრდება ბავშვებში ოჯახური აღზრდის მნიშვნელობის მიმღეობა და პარალელურად ხელი შეეწყობა ქართული ფოლკლორული მონაპოვრის პოპულარიზაციას მომავალ თაობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ან. ხინთიბიძე. (1976). *აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში.* თბილისი: ნაკადული.
2. ან. ხინთიბიძე. (198). *ქართული ხალხური და მეცნიერული პედაგოგიკის ურთიერთობის საკითხები.* თბილისი.
3. ან. ხინთიბიძე. (1970). *ყოველმხრივ შევისწავლოთ ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორია.* თბილისი.
4. გ. თავზიშვილი. (1977). *რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ტ.II.* თბილისი.
5. გ. თავზიშვილი. (1980). *რჩეული პედაგოგიური თხზულებები. ტ.III.* თბილისი.
6. ზ. კიკნაძე. (2007). *ქართული ფოლკლორი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. თ.ქურდოვანიძე. (1983). *ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი.* თბილისი.
8. მ. ჩიქოვანი. (1975). *ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. ტ.I.* თბილისი.
9. მ.წერეთელი. (2006). *გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
10. ნ. ვასაძე. (1988). *პედაგოგიკის ისტორია.* თბილისი.
11. ნ. მამულაძე. (2012). ბავშვის გონებრივი აღზრდის ხალხური ტრადიციები. *Education Science and Psychology. No.1(20)* , 146-153.
12. ნ. მესტვირიშვილი. (2014). *ზღაპრების როლი ბავშვის მორალურ განვითარებაში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. ნ.კაპანაძე. (1986). *ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წესჩვეულებები.* თბილისი: "მეცნიერება".
14. პ. ინგოროყვა. (1953). *ი.ჭავჭავაძის თხზულებანი. ტ.III.* თბილისი.
15. ქ.ჭკუასელი, ივ.ჭკუასელი. (2016). *პედაგოგიკის საფუძვლები.* თბილისი: "ინტელექტი".
16. Berne. E.L. (1964). *Games People Play.* New York: Grove press.
17. Tolkien. J.R.R. (1988). *Tree and Leaf.* London: Unwin Hyman Limited.

18. Пропп В.Я. (2001). *Морфология сказки.* Москва: " Лабиринт".

19. Brazelton, T. B. (1969). *Infants and mothers: Differences in development.* New York: Delacorte Press.

20. Greenspan.S. (1989). *The Development of the Ego: Implications for Personality Theory, Psychopathology, and the Psychotherapeutic Process.* Madison: International Universities Press.

21. kready.L.F. (2016). *A Study of Fairy Tales.* Boston: Houngston Mifflin Company.

22. Елизаров.А. Н. (2003). *Основы индивидуального и семейного психологического консультирования.* Москва.

23. Пропп В.Я. (2001). *Морфология сказки.* Москва: " Лабиринт".

24. Коменский.Я.А . (1982). *Избранные педагогические сочинения.* Москва: "Педагогика".

25. Мудрик.А.В. (2016). *Социально-педагогические проблемы социализации.* Москва.

26. Ушинский К.Д. (1988). *Педагогические сочинения в 6 томах.* Москва: Академия Педагогических Наук СССР.

27. Ушинский. К.Д. (1990). *Педагогические сочинения.Т. V.* Москва: "Педагогика".

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Tamar Turmanishvili

Family upbringing models in the Georgian fairy tales

(on the example of Georgian language and literature lextbooks of primary level)

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Zakaria Kitiashvili

Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical sciences

Tbilisi

2019

დანართი 2

დაწყებითი საფეხურის, გრიფირებული ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები კლასების მიხედვით.

ცხრილი #1

გამომცემლობა	**კლასი**	**კლასი**	**კლასი**	**კლასი**
„დიოგენე“	I			
„სწავლანი“	V	VI		
„მერიდიანი“	II	III	IV	
„ტრიასი“	I	II	III	IV
„სულაკაური“	I	II	III	IV

ოჯახური აღზრდის მოდელების რაოდენობა გამომცემლობებისა და კლასების მიხედვით.

ცხრილი #2

გამომცემლობა	**კლასი I**	**კლასი II**	**კლასი III**	**კლასი IV**	**კლასი V**	**კლასი VI**
„დიოგენე“						
„სწავლანი“						
„მერიდიანი“		2	2			
„ტრიასი“		1		1		
„სულაკაური“		1				